# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 სექტემბერი 2005 №222 (2545) ფასი 50 თეთრი


# მინდორ-მინდორ დედამიწა შევაჯერეთ!

## რევაზ და ლუკა იუველირები: ოქრო-ვერცხლი ბუდაპეშტიდან



მეთორმეტე გვერდი

AFP მულტიმედია

ბუდაპეშტის ხალიჩაზე რევაზ მინდორაშვილმა ფინალში კუბელი იოელ რომერო დაამარცხა

# ცხადაძე დინამოში აღარ არის

## გუშინდელი ვარჯიში სვანაძემ და კაჭარავამ ჩაატარეს



გაჩო კომოლაძის ფოტოები



თბილისის „დინამოში" გაურკვევლობაა — ხმები გუნდიდან მწვრთნელ კახა ცხადაძის წასვლის შესახებ არა და არ წყდება.

გუშინდელ „სარბიელში" „დინამოს" პრესსამსახურის უფროსის, ლევან სალუქვაძის კომენტარიც შემოვთავაზეთ, სადაც ის ამბობდა, რომ ცხადაძე არსად მიდის და, შესაბამისად, ახალი მწვრთნელის კანდიდატურაც არ განიხილება, თუმცა...

„დინამოს" გუშინდელი ვარჯიში ცხადაძის გარეშე ჩატარდა — წვრთნას ზაურ სვანაძე და კახა კაჭარავა ხელმძღვანელობდნენ. ამბობენ, რომ „დინამოს" დროებით სწორედ კაჭარავას ჩააბარებენ.

ცხადაძის საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს. როგორც გავიგეთ, კლუბი მასთან ურთიერთობის გაგრძელებას აღარ აპირებს, ცხადაძე კი თავის ნებით წასვლას

მოკლედ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური. წუხელ

### A ჯგუფი

#### ბაიერნი 1:0 ბრიუგე

1:0 დემიკელისი (32)
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ (შოლი 53), შვაინშტაიგერი, დემიკელისი, ზე რობერტო, ბალაკი (იერემისი 83), გერერო (სანტა კრუზი 72), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ბრიუგე: ბუტინა, დე კოკი, მარტენსი, ვანდელანოიტი, დუფერი, ენგლებერტი (როელანდტსი 85), ვერმანტი, ბლონდელი, ვერჰეიენი (მატონდო 76), ლეკო (პორტილიო 68), ბალაბანი
მწვრთნელი: იან კულემანსი
გაფრთხილება: ბალაკი, ვერმანტი, ვანდელანოიტი, სანიოლი
მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

#### იუვენტუსი 3:0 რაპიდი

1:0 ტრეზეგე (27), 2:0 მუტუ (82), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (85)
იუვენტუსი: აბიატი, პესოტო, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (მუტუ 65), ჯანიკედა (ბლაზი 84), ემერსონი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (დელ პიეროო 60)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
რაპიდი: პეიერი, ვალახოვიჩი, დობერი (მარტინესი 76), ბეიბლი, ადამსკი, ხოფმანი, კორსოში, ფლინკა, ივან შიტცი, კინსლი, აკაგუენდესი (ლოური 53)
მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი
გაფრთხილება: ვალახოვიჩი
მსაჯი: მარტინ ჰენსონი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| რაპიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### B ჯგუფი

#### აიაქსი 1:2 არსენალი

0:1 ლიუნგბერგი (2), 0:2 პირესი (69პ), 1:2 როსენბერგი (71)
აიაქსი: ვონკი, გრიგერა, დერმაელენი, დე იონგი, ემანუელსონი (ხუანფრანი 85), გალაშეკი, ლინდენბერგი, პიენაარი, ბუხარი (მანუჩარიანი 70), ხარისტიასი (როსენბერგი 55), ბაბელი
მწვრთნელი: დენი ბლინდი
არსენალი: ალმუნია, ტურე, ლორენი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, გლები (სიგანი 90), ფაბრეგასი, ფლამინი, პირესი (კლიჩი 88), ლიუნგბერგი, რეიესი (აბეიე 81)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: გრიგერა, ტურე, პიენაარი, ვონკი, გალაშეკი, ალმუნია
მსაჯი: მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

#### თუნი 1:0 სპარტა

1:0 ჰოძიჩი (88)
თუნი: იაკუპოვიჩი, დეუმი, ორმანი (გერბერი 46), მილიჩევიჩი, გონსალვეში, ლეანდრო, ჰოძიჩი, ადრიანო (გელსონი 83), აეგერტერი, ფერეირა, ლუსტრინელი (სენი 79)
მწვრთნელი: ურს შიონენბერგერი
სპარტა: ბლაჟეკი, პოსპეჩი, პეტრასი, კადლეცი, კისელი, პეტრუსი, ჰაშეკი, ჟელენკა (დოსეკი 84), სივოკი, პოლაჩეკი, სლეპიჩკა (ჰერზანი 60)
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: კალდეცი, დეუმი, ჰოზიჩი, პეტრუსი
მსაჯი: ბერტრანდ ლეისი (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| თუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სპარტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

### C ჯგუფი

#### ბარსელონა 4:1 უდინეზე

1:0 რონალდინიო (12), 1:1 ფელიპე (24), 2:1 რონალდინიო (32), 3:1 დეკო (41), 4:1 რონალდინიო (90პ)
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, ოლეგერი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, ვან ბომელი (ინიესტა 62), დეკო, მესი (ესკერო 70), რონალდინიო, ეტოო (ლარსონი 81)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
უდინეზე: დე სანკტისი, ნატალი (ჟუარესი 33), ბერტოტო, ფელიპე, ძენონი, ობოდო, ვიდიგალი, მუნტარი (დი მიკელე 73), კანდელა, დი ნატალე (მაური 51), ბარეტო
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ვიდიგალი, ვიდიგალი, ვან ბომელი, პუიოლი, დი მიკელე
გაძევება: ვიდიგალი (49)
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

#### პანათინაიკოსი 2:1 ვერდერი

1:0 გონსალესი (63), 2:0 მანციოსი (8), 2:1 კლოზე (41)
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, გუმასი (კოციოზი 41), ვინტრა, მორისი, დარლასი, ნილსონი, კონსეისაო, გონსალესი, სერიჩი, მანციოსი (გეკასი 72), ტორგელი (ტციოლისი 58)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, ნალდო, ანდრეასონი, შულცი (ვალდესი 75), ფრინგსი, ბაუმანი (ჰანტი 63), ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: კონსეისაო, ფრინგსი, კლასნიჩი, სერიჩი, ანდრეასონი, ტციოლისი, კლასნიჩი
გაძევება: კლასნიჩი (86)
მსაჯი: ერიკ პოლა (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### D ჯგუფი

#### მანჩესტერი 2:1 ბენფიკა

1:0 გიგზი (39), 1:1 სიმაო (59), 2:1 ვან ნისტელროი (85)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრედსლი, ფერდინანდი, ოში, რიჩარდსონი, რონალდო, ფლეტჩერი, სმიტი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბენფიკა: მორეირა, ლუიზაო, ნელსონი, როკა, ლეო, ბეტო (ჟოვანი 86), პეტი, ფერნანდესი (მანტორასი 86), სიმაო, მიკოლი (პერეირა 80), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ლუიზაო, სმიტი, ნუნუ გომეში
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

#### ლილი 0:0 ვილიარეალი

ლილი: სილვა, პლესტანი, ლიხტშტაინერი, პლესტანი, შმიცი, ტაფორუ, დებიუში, მაკუნი, ბოდმერი (დიუმონი 46), აჩიმოვიჩი (დერნისი 84), ოდენვეჟი, მუსილუ (ფავერჟე 73)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
ვილიარეალი: ვიერა, ალვარესი (როდრიგესი 57), კრომკამპი, პენა, არუაბარენა, ტაკინარდი, ხოსიკო, სორინი (სენა 46), რიკელმე, ფორლანი (გიარე 84), ფიგუეროა
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინო
გაფრთხილება: არუაბარენა, ტაკინარდი, შმიცი
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვილიარეალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლილი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

# რონალდინიოს სამინაი და ასი გერტი

**რა** ქნა „მანჩესტერ იუნაიტედმა“? გულშემატკივარს მორიგი უღიმღამო ფეხბურთი აჩვენა, თუმცა მოიგო და ამდენად ნუ გავასამართლებთ. ეს მატჩი „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართა, გამარჯვების გოლი კი საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ გაიტანა. ეს გოლი მისთვის 35-ე იყო „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის 39 თამაშიდან. სხვათაშორის რიცხვი 39 კიდევ შეგვიძლია ვახსენოთ: „ბენფიკა“ 39 წელიწადში პირველად იყო „ოლდ ტრეფორდზე“. პორტუგალიელთაგან გოლი სიმაომ საჯარიმო დარტყმით გაიტანა, თუმცა ამით შეხვედრაში ანგარიში კი არ გახსნილა, გათანაბრდა — გახსნით ანგარიში მცირე რიკოშეტის წახმარებით რაიან გიგზმა გახსნა, ოღონდ რომელ წუთზე გააკეთა ეს, აღარ გეკითხებით, რადგან ისედაც ცხადია: 39-ზე.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში ფრანგულმა „ლილმა“ ესპანურ „ვილიარეალს“ უმასპინძლა. „ლილმა“ ვერც გაიტანა და არც „ვილიას“ გაატანინა. საინტერესოა, რომ ამ ორ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში მეტოქის კარის ხაზი ჯერ კიდევ გადასაკვეთი აქვს, არადა დრო არ ითმენს, ორი ტური უკვე ჩამთავრდა.

„ბარსელონამ“ იტალიურ „უდინეზეს“ თავის უკიდეგანო „კამპ ნოუზე“ 4:1 მოუგო. სამი გოლი რონალდინიომ გაიტანა.

რონალდინიოს პირველი საუცხოოდ შესრულებული ჯარიმის შედეგი გახლდათ, მეორე ამ დიდებულმა შოუმენმა სამუელ ეტოოს ასისტენტობით შეაგდო, ხოლო მესამე მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა. რაც შეეხება შეხვედრის კიდევ ორ გოლს, რომელთაგან ერთი მასპინძლების კარში გავიდა, მათი ამბავი ასე იყო: იტალიელებმა პირველ ტაიმში, ჯერ კიდევ 1:0-ის დროს შეაგდეს და დროებით გაქვითეს ანგარიში, „უდინეზეს“ კარში კი მესამე დეკომ შეაგდო — იმ ეპიზოდში საჯარიმოს დარტყმა რონალდინიომ გაპორტუგალიელებულ თანამემამულეს მიანდო.

ამ ჯგუფში „პანათინაიკოსმა“ ბრემენის „ვერდერს“ უმასპინძლა და პირველ რვა წუთში გატანილი ორი გოლის წყალობით გაიმარჯვა. პირველი ტაიმის დარჩენილ ნაწილში „ვერდერი“ ფლობდა ინიციატივასა და უპირატესობას. მიროსლავ კლოზემ გოლიც კი გაიტანა, მაგრამ ეს ქრიამული საკმარისი არ გამოდგა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე კი ივან კლასნიჩი გააძევეს მოედნიდან.

ამსტერდამში „აიაქსს“ ლონდონის „არსენალმა“ 2:1 მოუგო. ანგარიში მეორე წუთზევე გახსნა ფრედერიკ ლიუნგბერგმა, მეორე კი რობერ პირესმა პენალტით შეაგდო. ერთის გაქვითვა ამსტერდამელმა მარკუს როსენბერგმა მოახერხა.

„აიაქსისა“ და „არსენალის“ ჯგუფში „სტად დე სუისზე“ სელვერ ჰოძიჩის გოლით „თუნმა“ პრაღის „სპარტა“ დაამარცხა. ისე, დაამარცხა სათქმელად იოლია, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ თუნელებმა ის ერთადერთი გოლი 88-ე წუთზე გაიტანეს, პრაღელები აშკარად ძალიან შეგვეცოდებიან.

და ბოლოს ორი სიტყვით იმ ამბავს შევეხოთ, „ალიანს არენაზე“ „ბაიერნმა“ „ბრიუგეს“ 1:0 რომ მოუგო. ერთადერთი გოლი ბავარიული გუნდის არგენტინელმა მარტინ დემიკელისმა გაიტანა მას შემდეგ, დაინახა, რომ ზე რობერტოს ნაწოდებული კუთხური მეტოქეებმა ვერ ჩაჭრეს და ბადეში დააქუხა. ამ შეხვედრაში ევროთასებზე მეასე თამაში ჩაატარა ბრიუგელმა გერტ ვერჰეიენმა და ამ ასეულში ალესანდრო დელ პიეროს შეუერთდა. დელ პიეროს ხსენებაზე კი, ისიც ვთქვათ, რომ „იუვენტუსმა“ „რაპიდს“ შინ 3:0 მოუგო. მაგრამ ამ ამბავზე ანგარიშის გამო ნუღარ შეჩერდებით.

**პაპუნა კედია**



მანჩესტერი — ბენფიკა 2:1. დარენ ფლეტჩერის (მარცხნივ) და სიმაო საბროსას აეროდუელი

AFP მანჩესტერიდან

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XI ტური**

ბარნლი 3:0 იფსვიჩი
ლესტერი 0:0 ბრაიტონი
ძრიუ 0:4 ვულზი
ლუტონი 3:0 პრესტონი
მილუოლი 1:1 ძპრ
ნორვიჩი 2:1 ჰალი
შეფილდი 2:0 პლიმუთი
სტოკი 0:3 კარდიფი
კრ. პალასი 2:0 უენსდი

**I ლიგა. XI ტური**

ბორნმუთი 0:1 სუონსი
ბრისტოლი 3:0 ბარნსლი
ბრედფორდი 1:1 კოლჩესტერი
დონკასტერი 1:0 სუინდონი
ჯილინგემი 1:0 ჩესტერფილდი
ჰადერსფილდი 1:0 ტრანმერი
ჰარტლპული 0:0 როტერჰემი
დონსი 1:0 სკანთორპი
ნოტინგემი 1:1 პლეკპული
საუთენდი 4:1 იოვილი
უოლსოლი 0:0 ბრენტფორდი

**II ლიგა. XI ტური**

დარლინგტონი 0:0 ბოსტონი
ჩელტენემი 2:1 პიტერბრო
ბერი 1:0 ბრისტოლი
ჩესტერი 2:0 კარლაისი
გრინსბი 4:0 ნოტსი
ლეიტონი 2:1 ტორკი
მაკლსფილდი 1:1 მენსფილდი
ლინკოლნი 2:0 სტოკპორტი
როჩდეილი 0:1 ოქსფორდი
რაშდენი 1:3 ნორთჰემპტონი
შრიუსბერი 2:2 სბარნეტი
უიკომბი 4:1 რეძსები

**კონფერენსი. XI ტური**

ალდერშოტი 0:1 ჰერეფორდი
კონვი 1:1 სტივენეიჯი
კემბრიჯი 2:2 ბარტონი
კროული 2:0 კიდერმინსტერი
დაგენემი 1:2 გრეისი
ეძსეტერი 1:1 უოკინგი
გრეივსენდი 2:0 ფორსეტ გრინი
ჰალიფაძსი 2:0 ალტრინხემი
მორიკამბი 3:2 აკრინგტონი
სკარბორო 0:1 საუთპორტი
ტემუროთი 0:3 იორკი

## იტალია

**სერია B. VIII ტური**

პესკარა 0:2 ტორინო

## შოტლანდია

**ბელსის თასი**
**IV ეტაპი**

სტ. ჯონსტონი 1:2 ჰამილტონი
სტ. მირენი 0:0 მორტონი პენ 4:2

## შვედეთი

**ალსვენსკა**
**XXIII ტური**

ელფსბორგი 2:1 სუნდსვალი

# ქეცბაიას მუხლი გაუჭრეს



თემურ ქეცბაია მოედანს, სულ მცირე, ორი კვირით ჩამოშორდა

**კვიპროსის** ჩემპიონატის ბოლო ტურში თემურ ქეცბაიას, კლიმენტი წიტაიშვილის და გიორგი გაბიდაურის „ანართოსისმა" „აშნას" 2:0 მოუგო და ერთი გოლი „ანართოსისის" მოთამაშე-მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ გაიტანა, ვინც მატჩის 65-ე წუთზე შეცვალეს ტრავმის გამო.

გუშინ კი ქეცბაიას ოპერაცია გაუკეთეს. როგორც თემურის მეუღლემ გვითხრა, სერიოზული არაფერია — „ანართოსისის" მოთამაშე-მწვრთნელს მუხლის ოპერაცია კი გაუკეთეს, მაგრამ ექიმების ვარაუდით, ის ვარჯიშს ორ კვირაში განაახლებს.

**დავით თავართქილაძე**

# მშვიდობით ევროპავ!

**გუშინ** სარაევოში 19-წლამდელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი დაიწყო. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ასეთი დონის ტურნირზე საქართველოს ნაკრებმაც ითამაშა და ისლანდიასთან 0:7 წააგო. მაია ჯაფარიძის გოგონებმა სამი ბურთი პირველი ტაიმის ექვსწუთიან მონაკვეთში გაუშვეს. დანარჩენი ოთხი კი ისლანდიელებმა მეორე ტაიმში გაიტანეს.

ხვალ ქართველი 19-წლამდელები თანატოლ რუსთა ნაკრებს ხვდებიან. ამ ასაკში რუსეთი ევროპის ჩემპიონია. 1 ოქტომბერს ქართველი გოგონები მასპინძელ ბოსნიასთან მოსინჯავენ ძალებს.

ცნობისთვის: შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპზე, რომელიც 2006 წლის 25-29 აპრილს გაიმართება, მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

**კახა შალამბერიძე**

# სახვაძე დინამოში ბრუნდება?

**არჩილ სახვაძე** თბილისის „დინამოში" ვარჯიშობს და შესაძლოა, გუნდთან კონტრაქტიც გააფორმოს. 26 წლის მცველი ორი წლის წინ წავიდა „დინამოდან" და „ლოკომოტივის" „გავლით" ირანულ „საბა ბატერში" მოეწყო, ორიოდ თვის წინ კი რუსეთის პირველდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟიში" აპირებდა გადასვლას, თუმცა ეს ვარიანტი არ გამოვიდა.

მარცხენაფლანგელი სახვაძე ერთ დროს „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო და, საინტერესოა, დაბრუნდება იგი თავის ძველ კლუბში?

ისე, ისიც შევიტყვეთ, რომ სახვაძით „ლოკომოტივიცაა" დაინტერესებული.

**ლუკა თალაკვაძე**



არჩილ სახვაძე (მარჯვნივ) „დინამოში" გუშინდელი ვარჯიშისას

# ზესტაფონი ესტონეთს ოქტომბერში გააბათილებს

**საქართველოს** მე-17 ჩემპიონატში შვიდი ტური ჩამთავრდა, თუმცა „ზესტაფონსა" და „ვიტ ჯორჯიას" თითო თამაშით ნაკლები ჩაუტარებიათ.

შეგახსენებთ, რომ იმერლები და თბილისელები ჯერ კიდევ 10 სექტემბერს, მე-5 ტურის კალენდარულ მატჩში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაშინ თამაშის გადადება ზესტაფონელებმა მოითხოვეს, ვინაიდან გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში იყო მიწვეული ესტონეთში ჩატარებულ ევროშესარჩევ ტურნირზე სათამაშოდ.

გუშინ კი პროფლიგამ ამ გადადებული შეხვედრის თარიღი გაარკვია: „ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯია" 19 ოქტომბერს, ზესტაფონში გაიმართება, მატჩი 15 საათზე დაიწყება.

**გიორგი ვაშაკიძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



ალმათურ მატჩში ქართველებმა ყაზახები გიორგი დემეტრაძის დუბლით დაამარცხეს

# ყაზახეთური შემადგენლობა

**8 ოქტომბერს** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში ყაზახეთისეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ქართველთა თავკაცმა გაიოზ დარსაძემ შემადგენლობა ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, აი, ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელმა კი სასურველი ფეხბურთელები გუშინ შეარჩია — სერგეი ტიმოფეევმა 20 მოთამაშეს უხმო.

დისკვალიფიკაციის გამო თბილისურ მატჩს მცველი იგორ ავდეევი და ნახევარმცველი ანდრეი კარპოვიჩი გამოტოვებენ, თუმცა ისინი სანაკრებო შემადგენლობაში მაინც არიან, ვინაიდან, ყაზახებს ოთხი დღის მერე დანიელებთან შეხვედრა ელით.

***მეკარეები:*** *იური ნოვიკოვი (ირტიში), დავით ლორია (შახტიორი);*

***მცველები:*** *ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი), სამატ სმაკოვი (კაირატი), იგორ ავდეევი (შახტიორი), რენატ დუბინსკი (ურალი, რუსეთი), დანიარ მუკანოვი (ტობოლი), ფარხადბეკ ირისმეტოვი (კაირატი), ანდრეი ტრავინი (ალმატი), ალექსანდრ კუჩმა (რუხი, პოლონეთი);*

***ნახევარმცველები:*** *რუსლან ბალტიევი (შინიკი, რუსეთი), ანდრეი კარპოვიჩი (კაირატი), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), მაკსატ ბაიჟანოვი (ირტიში), სერგეი ლარინი (ალმატი), ნიკიტა ხოხლოვი (ჟენისი), მაქსიმ აზოვსკი (ალმატი);*

***თავდამსხმელები:*** *ოლეგ ლიტვინენკო (ალმატი), ნურბოლ ჟუმასკალიევი (ტობოლი), დანიარ კენჟეხანოვი (ვოსტოკი).*

გუშინვე საიმედოსი შემადგენლობა ჩამოწერა ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმაც — ანტონ შოხმა ტიმოფეევის დარად 20 ფეხბურთელზე შეაჩერა არჩევანი:

***მეკარეები:*** *ალექსანდრ კრიგორენკო (ატირაუ), ჟასულან დეკხანოვი (ორდაბასი);*

***მცველები:*** *ილია ვოროტნიკოვი (ირტიში), აბზალ ჟუმაბაევი (ალმატი), ტიმურ მოლდოგალიევი (ეკლეზნოდოროჟნიკი), მაქსიმ ზუევი (ვოსტოკი), პირალი ალიევი (ატირაუ), ევგენი ტარასოვი (ვოსტოკი), ნურტას კურგულინი (ტარაზი);*

***ნახევარმცველები:*** *ვლადიმირ იაკოვლევი (ტარაზი), კანატ ალიევი (სემეი), ვიტალი ევსტიგნეევი (ტარაზი), ჟანდოს ორაზალიევი (ეკლეზნოდოროჟნიკი), სერგეი ჩერკაშინი (ბოლატი), ალექსანდრ კიროვი (ვოსტოკი), ვადიმ ბოროვსკი (ალმატი);*

***თავდამსხმელები:*** *აიდარ არგიმბაევი (ეკლეზნოდოროჟნიკი), ნიკოლაი სოლომინი (ესილ-ბოგატირი), ალექსეი შაკინი (ვოსტოკი), ვიაჩესლავ ნურმაგამბეტოვი (ტობოლი).*


# თქვენი ინტერვიუ

# ალექსანდრე იაშვილთან

**«ფრაიბურგი» გერმანია**

*ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია": გერმანული „ფრაიბურგის" კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ.*

*ასე რომ, იაქტიურეთ...*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 7 ტური მიმოხილვა

# აქტუალური თემა: დინამო და მსაჯები

**თბილისის** „დინამოდან“ დათხოვნილი მწვრთნელ-ფეხბურთელებით ბოლნისის „სიონი“ ლიდერია, ხოლო თვითონ „დინამო“ მერვე ადგილზეა.

„დინამოს“ ასეთი ყოფა, ალბათ, დროებითია, მაგრამ ზოგადად კლუბის ბოლოდროინდელი პოლიტიკა ბუნდოვანია — რა არის თანამედროვე „დინამოს“ მიზანი? ეროვნულ ჩემპიონატში ეტილაოს „ბორჯომს“, „ვიტ ჯორჯიას“ და „სიონს“, თუ დაიბრუნოს ძველი დიდება? აი, აქ ძევს ყველაფერი, თორემ ჩავარდნა ყველას მოსდის, გუნდსაც, მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც.

ახლა კი „სიონის“ ჯერია. მომდევნო ტურში ბოლნისელები „ზესტაფონს“ მასპინძლობენ და ტურის ბაირამცენტრიც ქვემო ქართლი იქნება — პირველადგილოსანი სკანდალური „ზესტაფონის“ წინააღმდეგ — ყურადღებას მართლაც არა უშავს.

სიონელთაგან ბოლო დროს კოკა მიკუჩაძე გამორჩეულად ჩაუქობს და სწორედ მისი უნაკლო თავურით გატყდა გიორგი დევდარიანის „თბილისი“. აუცილებლად უნდა აღინიშნოს თბილისელთა ჯეელი მეკარე მიხეილ ალავიძე — დევდარიანის მთავარი საკეთებელიც ეგაა, ნიჭიერი ახალგაზრდები დააწინაუროს „თბილისში“.

„თბილისი“ — „სიონის“ მატჩში ვერც ავთანდილ ორდინიძის მსაჯობას წავუყრუებთ — ბოლო დროს ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯთა შეცდომები თუ საეჭვო გადაწყვეტილებები გახშირდა და ამას დროულად უნდა მიეხედოს...

და ორი ბორჯომული გოლი ეროვნულ სტადიონზე — გიორგი ქორიძის შედევრი და რევაზ გეწაძის სოლო — „ბორჯომი“ პირველად შეხვდა „დინამოს“ და დინამოური ისტორია მოგებით გახსნა. სოსო ფრუიძემ „დინამოსთან“ ფრთხილი თამაში აირჩია, რამაც გამართლა, ფრუიძემ თქვა კიდეც, ამ მატჩში ფრეზეც ყაბულს ვიქნებოდიო.

„სიონს“ და „ბორჯომს“ დაუმარცხებელი „ლოკომოტივი“ მისდევს. ნოდარ აკობიას გუნდი მობილურობით გამოირჩევა და ყველაზე ნაკლები გოლიც აქვს გაშვებული. აკობიას სოხუმის „დინამოსთან“ შეცვლამ გაუმართლა, 83-ე წუთზე შესულმა გიორგი ალავერდაშვილმა 86-ეზე გაიტანა სამქულიანი გოლი.

ჯანზე მოდის „ვიტ ჯორჯია“, რომელმაც თავისი ძალა ერთი ტურით ადრე „დინამოსთანაც“ გვაჩვენა. „ვიტ ჯორჯიამ“ ერთხელ უკვე დაამტკიცა, რომ საქართველოში ჩემპიონობა დიდი ფულის დახარჯვის გარეშეცაა შესაძლებელი — ახალგაზრდა ფეხბურთელებით და ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშით. ვიტელები კვლავაც ასეთ პოლიტიკას ეყრდნობიან და თუ კვლავ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, არ უნდა გაგვიკვირდეს.

ამბიციურ „ამერს“ ფეხი ბათუმში დაუცდა, სადაც მეორე ტაიმში ამირან კედელაშვილის გაძევების გამო კაცნაკლული დარჩა. „ბათუმმა“ ახალი მწვრთნელის, ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით შინ პირველად ითამაშა და წონიანი გამარჯვებაც იზეიმა.

პირველად ითამაშა თავის განახლებულ სტადიონზე „ზესტაფონმა“ და ეს წარმატებულიც გამოდგა — თურქეთიდან ჩამოტანილ მინდორზე მაინცდამაინც თვალსასეირო ბურთაობა ვერ გაჩაღდა, თუმცა სამ ქულას ხომ კბილი არ გაესინჯება.

შვიდ ტურში ფოთის „კოლხეთმა“ ოდენ ხუთი გოლი გაიტანა და ხუთივე ზვიად ქუთათელაძემ. ისიც სათქმელია, რომ ქუთათელაძემ გოლები მხოლოდ მოგებულ მატჩებში შეაგდო. რაც შეეხება გორის „დილას“, ქართლელები თამაშის დღეს ჩავიდნენ ფოთში და ნამგზავრ ფეხბურთელსაც ბევრს, აბა, რას მოსთხოვ.

უჩვეულოდ ცოტა, დაახლოებით ათასხუთასი მაყურებელი მივიდა თელავში და არმისულმა ქომაგმა ალბათ თავიდანვე იგუმანა, რომ დიდი ვერაფერი თამაში იქნებოდა, კახელებმა 11-მეტრიანით მოიგეს, ქუთაისელები კი არბიტრ ლევან კვარაცხელიას არაობიექტურობაში ადანაშაულებდნენ — ერთი სიტყვით, მსაჯობის თემა მართლაც აქტუალური გახდა.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი მეგრელაძის „დინამო“ ზურაბ მამალაძის „ბორჯომს“ ვერ შესწვდა

ბადრი ქეთილაძის ფოტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 14:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 1 | 2 | 6:5 | 13 |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:3 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:6 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ბათუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:7 | 9 |
| კახეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 9 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | 6 |
| ტორპედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 1:5 | 4 |
| სოხუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| თბილისი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | 0 |

### სიმბოლური ნაკრები

ზვიად ქუთათელაძე — კოლხეთი
გიორგი ქორიძე — ბორჯომი
კოკა მიკუჩაძე — სიონი
რევაზ გეწაძე — ბორჯომი
დავით ბოლქვაძე — სიონი
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
რამონ დი ანაია — ლოკომოტივი
გიორგი მუმარნიშვილი — ბორჯომი
გიორგი ხიდეშელი — ზესტაფონი
ზურაბ იონია — ბათუმი
ირაკლი თოთლაძე — ბათუმი

გუნდი: ბორჯომი
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 6-ქორიძე | ბორჯომი |
| 5-დგალი | სიონი |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |
| 4-მიკუჩაძე | სიონი |
| მარტგალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 3-მეგრელაძე | დინამო |
| გაზელიშვილი | ლოკომოტივი |
| დოლიძე | სიონი |
| რუსია | სოხუმი |
| მ. ხანიშვილი | დილა |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ცენტრალური“ ზესტაფონი | ზესტაფონი 1:0 სპარტაკი | 8,5 | 7,0 | 9,5 | 8,3 |
| „ეროვნული“ თბილისი | დინამო 1:2 ბორჯომი | 8,5 | 8,5 | 8,0 | 8,3 |
| „ოლიმპი“ თბილისი | თბილისი 1:2 სიონი | 9,5 | 7,0 | 8,0 | 8,1 |
| „გივი ჩოხელი“ თელავი | კახეთი 1:0 ტორპედო | 8,5 | 7,5 | 7,0 | 7,6 |
| „დინამო“ ბათუმი | ბათუმი 1:0 ამერი | 6,5 | 6,5 | 4,5 | 5,8 |
| „მიხეილ მესხი“ თბილისი | ლოკომოტივი 1:0 სოხუმი | 9,0 | 6,5 | 1,5 | 5,6 |
| „ფაზისი“ ფოთი | კოლხეთი 2:1 დილა | 7,0 | 6,5 | 2,0 | 5,1 |
| „ქართლი“ გორი | ცხინვალი 0:3 ვიტ ჯორჯია | 6,5 | 6,0 | 1,0 | 4,5 |

### მომდევნო ტური

30 სექტემბერი, პარასკევი

ამერი – ვიტ ჯორჯია

1 ოქტომბერი, შაბათი

ბორჯომი – ცხინვალი
სიონი – ზესტაფონი
ტორპედო – თბილისი
დილა – სოხუმი
ბათუმი – კოლხეთი

2 ოქტომბერი, კვირა

სპარტაკი – დინამო
ლოკომოტივი – კახეთი



დავით ბოლქვაძე (№17) — „სიონის" ძრავა

# სიონის კოზირი გამტანობაა

## დავით ბოლქვაძე: საჩემპიონო მიზნები ზამთარში გამოიკვეთება

ბოლნისის „სიონი" მიმდინარე სეზონში სალაპარაკო თემა გახდა. საპირველტურო ფრის შემდეგ ქვემოქართლელებმა ზედიზედ 6 თამაში მოიგეს და ჩემპიონატს ლიდერობენ. მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა გუნდში პერსპექტიული ახალგაზრდები შემოიკრიბა და არ ვიცით, ვინ როგორ ხედავს, მაგრამ „სიონის" სავიზიტო ბარათი სილაღე და ტექნიკურობაა: კაპიტანიც ასეთი ჰყავთ — 24 წლის დავით ბოლქვაძე განვლილ შვიდ ტურში არაერთხელ მოხვდა „სარბიელის" სიმბოლურ ნაკრებში.

„ვიცი, ბევრი არ ელოდა „სიონისგან" ასეთ თამაშს. სეზონის წინ ეს არც გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ გუნდურმა სულმა ბევრი შეგვაძლებინა. შეკრული და მეგობრული გუნდი გვყავს, ერთმანეთთან ყოფნა გვიხარია" — გვითხრა ბოლქვაძემ.

„სიონის" ნახევარმცველს ხვიჩა ქასრაშვილის ღვაწლიც არ ავიწყდება, გუნდური მეგობრობა და გამტანობა სწორედ მწვრთნელის დამსახურებაა, ესეც რომ არა, ქასრაშვილი მცოდნე სპეციალისტია, სწრაფ თამაშს გვთხოვს და ტაქტიკურადაც კარგად გვამზადებსო: „ფეხბურთელები ბრძოლაში ვართ ჩაბმულნი და ისე ვერ ვაკვირდებით, თუმცა ყველა გვეუბნება ლამაზად თამაშობთო".

დათოს პარტნიორების გამორჩევა უჭირს, თუმცა ამბობს, უფრო პასების მიცემა მევალება, ამიტომაც ჯაბა ღვალთან და კოკა მიკუჩაძესთან განსაკუთრებით კარგად ვარ შეწყობილიო: „შეთამაშების მხრივ პრობლემები არ გვაქვს, ყველანი კარგად ვუგებთ ერთმანეთს".

მომდევნო ტურში ბოლნისელები „ზესტაფონს" მასპინძლობენ და ბოლქვაძე ამბობს, ძნელი თამაში გვექნება, მაგრამ მაგრად უნდა დავდგეთ, გულშემატკივრების დიდი იმედიც გვაქვსო.

რაც შეეხება „სიონის" საამსეზონო მიზნებს და კონკურენტებს: „მეც და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ექვსთვიანი კონტრაქტები გვაქვს „სიონთან", ამიტომაც ვერ გეტყვით, ზამთარში შემადგენლობას შევინარჩუნებთ თუ ვერა. ეგებ ახალი მოთამაშეებიც დაგვემატონ. თუ ეს ბირთვი შენარჩუნდა, ჩემპიონობაზე არ დავიქადნები, მაგრამ მაღალი მიზნებისთვის კი ვიბრძოლებთ. რაც უნდა იყოს, საქართველოს ჩემპიონატი ვერ დგას მაღალ დონეზე, „დინამო" და „ზესტაფონიც" ვერ აჩვენებენ საკადრო თამაშს: „მათ გარდა კიდევ ოთხი-ხუთი თანაბარი ძალის გუნდია, დანარჩენები კი მოისუსტებენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

დათო სხვა გუნდში გადასვლაზე არ ფიქრობს, უფრო სწორად, ამბობს, რეალური წინადადება სერიოზული კლუბებისგან არ მიმიღია და დიდად არც ვნანობ, რადგან „სიონში" მშვენივრად ვგრძნობ თავსო: „ვერ ვიტყვი, რომ უეჭველად საუკეთესო სეზონს ვატარებ. შარშან ქუთაისის „ტორპედოშიც" ნორმალურად ვთამაშობდი".

მოკლედ, ბოლქვაძე „სიონის" საჩემპიონო მიზნებზე ხელაღებით არ ლაპარაკობს, თუმცა ბოლნისელებმა შაბათს „ზესტაფონიც" თუ წააქციეს...

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
17
პირველი წრე
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
6 ტური

**ზესტაფონი 2 2:3 გურია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 6 | 5 | 1 | 0 | 9:2 | 16 |
| დინამო 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:3 | 11 |
| მესხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| ზუგდიდი | 6 | 3 | 2 | 1 | 3:2 | 11 |
| ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 13:5 | 10 |
| გურია | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 4:2 | 10 |
| რუსთავი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| მერანი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| მეშახტე | 6 | 2 | 2 | 2 | 8:5 | 8 |
| საგარეჯო | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| მეშაქრე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| გაგრა | 6 | 1 | 4 | 1 | 2:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| თბილისი 2 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | 4 |
| მაღაროელი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| ლიახვი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:14 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | 0 |

# ბარსელონა ბარსელონაზე და ბარსელონა საქართველოზე

## იაგო აგილარი: რამდენი გაქვთ სასწავლი...

გეცოდინებათ, „ბარსელონას" ბავშვთა ჯგუფების მწვრთნელ-კოორდინატორი იაგო აგილარი თბილისშია და ოქტომბრიდან დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა სკოლაში ვარჯიშებსაც დაიწყებს. კომპანია „სილქ როუდის" მეშვეობით მოქმედებს პროექტი, რომლის მიხედვითაც ამ სკოლის ნებისმიერი ასაკის ბავშვს ეძლევა „ბარსაში" სტაჟირების გავლის შანსი — შანსი, რომელიც მცირეა, მაგრამ არც ისე წარმოუდგენელი. იაგო აგილარმა რამდენიმე დღის წინ პრესკონფერენციაც გამართა, თუმცა გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გავიცნოთ ეს ბარსელონელი კაცი — მას უშუალოდ დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა სკოლის გარდა, სხვა საინტერესო საკითხებზეც ველაპარაკეთ...



**— თქვენ პირველად ივნისში იყავით თბილისში, მეორედ კი ამ სამი კვირის წინ გვესტუმრეთ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ჩვენს ფეხბურთზე?**

— დასამალი რა არის, აქაური რიტმი ძალიან ნელია, ტექნიკური დონე დაბალია, რაც თამაშის დუნე ტემპშიც აისახება. ფეხბურთელებს ტაქტიკური განათლება აკლიათ. არადა, ეს სავალდებულო კომპონენტებია.

**— მაინც რა ასაკიდან უნდა აღმოიფხვრას ეს პრობლემები?**

— ამის აღმოფხვრა შესაძლებელი კია, მაგრამ ძალიან ძნელი პროცესია. ხომ წარმოგიდგენიათ, მთლიანად ქვეყანაში ადათ-წესების შეცვლას რა დრო სჭირდება?! მარტო ტექნიკურ-ტაქტიკური მხარე როდია დასახვეწი, სხვა სამუშაოებიც ბევრია და, ბუნებრივია, მარტო მე არ ვაპირებ ამის მოგვარებას. მაგალითად, მწვრთნელების მხრიდანაც ინფორმაციების ნაკლებობაა.

**— მსგავსი პროექტი „ბარსელონას" მექსიკაშიც აქვს. იქ, ალბათ, უკეთესობაა...**

— მექსიკაში, ასე ვთქვათ, უფრო ორგანიზებულად კეთდება საქმე. შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ მექსიკაში ეს პროექტი რამდენიმე წლის წინ დაიწყო.

**— ჯერ მხოლოდ უარყოფითს ლაპარაკობთ. კარგი რა დაინახეთ ქართულ ფეხბურთში?**

— რატომ მხოლოდ უარყოფითს?! საქართველოში წინსვლის სურვილს ვხედავ, ენთუზიაზმი დიდია, რაც სხვა ქვეყნებში მაინცდამაინც არ შეიმჩნევა. უბრალოდ, დღევანდელ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ: შეადარეთ ქართული კლუბები ან ნაკრები ძლიერ ევროპულ ქვეყნებს და რა გამოვა?! „დინამომ" ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ერთი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, „ლოკომოტივმა" უეფას თასზე ერთი ეტაპიც ვერ გადალახა. ამას მარტო მე კი არა, ყველა ამბობს. ტექნიკურ-ტაქტიკური განსწავლულობა ბუნებრივად უნდა გქონდეს.

**— რამდენი წელია, რაც „ბარსელონაში" მუშაობთ?**

— ორი-სამი წელია, მაგრამ ჩემი სამუშაო უფრო გარედან ინფორმაციების მიწოდებაა, სასელექციო პროცესს ვეწევი. ჩემნაირი ბევრია ესპანეთში, თუმცა ამჟამად რასაც ვაკეთებ, ეს გამონაკლისია — ერთიორს თუ შეხვდებით, რომ საზღვარგარეთ ამდენი ხნით მუშაობდეს სასელექციო მისიით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენი დამაკავშირებელი კომპანიისგან მონდომება დავინახე.

**— რამდენ ხანს დარჩებით თბილისში და თუ არის შანსი, რომ დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა სკოლიდან ვინმე გააგზავნოთ „ბარსელონაში" სტაჟირებაზე?**

— თბილისში მომავალი წლის ივნისამდე დავრჩები. ეს პირველადი შეთანხმებით, თორემ შესაძლოა, დრო გავახანგრძლივო, ან ჩემ მაგივრად სხვა ჩამოვიდეს. „ბარსელონაში" მოხვედრაზე კი რა გითხრათ... ვინ იცის, დრო გვაჩვენებს...

**— დღეს „ბარსაში" თუ არის ისეთი მოთამაშე, ვინც საზღვარგარეთიდან ბავშვობის ასაკშივე აიყვანეთ და გაზარდეთ?**

— ახალგაზრდულ გუნდში არიან ასეთები. „ბარსელონა" იმ დონის გუნდია, ტალანტებს შეძლებისდაგვარად ყველგან აკვირდება. აი, ახალგაზრდებშია ერთი გერმანელი პერსპექტიული ბიჭი დენის კროლი, ასევე ერთი ებრაელი. სამწუხაროდ, ყველას ვერ ვიხსენებ...

**— დიდ „ბარსაზეც" ვთქვათ: რა შანსები აქვს პრიმერადივიზიონის და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად?**

— ყოველ შემთხვევაში, დღეს „ბარსელონას" შემადგენლობის პრობლემა არა აქვს, ყველა ფეხბურთელი მზადაა. კარგია, როცა 20-25 მაღალი კლასის მოთამაშე გყავს. ფრანკ რაიკარდმა ახლახან „ბეტისთან" დეკო და რონალდინიო დაისვენა. წარმოგიდგენიათ, ძლიერ მეტოქესთან ასეთ ორ ვარსკვლავს რომ არ ათამაშებ და მაინც მოიგებ?"

**— კატალონიელთა კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— „რეალის" მერე, უმთავრესი კონკურენტი „ვალენსია" იქნება. დროთა, „ატლეტიკოც" მოხვდეს ოთხეულში და ლიგაში თამაშის ახლა „ხეტაფეა" პირველ ადგილზე. მაგრამ მეეჭვება, ამ გუნდმა ბოლომდე გაუძლოს პრიმერას მარათონს. არის კიდევ ერთი გუნდი-სიურპრიზი და ამას ყველა დაინახავს.

...ჩემპიონთა ლიგაში ბევრი გუნდის თამაში არ მინახავს, მაგრამ „ჩელსი", „რეალი" და „მილანი" ძალიან ძლიერები იქნებიან. აგრეთვე საშიშნი არიან „იუვენტუსი" და „ბაიერნი" — ეს ისეთი გუნდებია, რომ გადამწყვეტ მატჩებში კონცენტრაცია არასოდეს ღალატობთ. და კიდევ, „ლიონი" მომწონს ძალიან, სასწაულ ტემპში თამაშობს და მგონია, ლიგის მოსაგებად კარგი შანსი ექნება.

**— „ბარსა" — „რეალს" შორის მტრობა საქვეყნო ამბავია. კატალონიელებს ასეთი შუღლი სხვა ესპანურ გუნდებთან თუ აქვთ?**

— „რეალის" დარი მტერი არ გვყავს. ისე, „ვალენსიასთან" და „ატლეტიკოსთან" ურთიერთი თამაშები გვაქვს-ხოლმე. ორივე ისეთი გუნდია, „კამპ ნოუზე" თავს იკლავს. მათთან მატჩებში ყოველთვის ბევრი გოლი გადის, თუმცა მაინცდამაინც დიდი მტრობა არც „ვალენსიასთან" გვაქვს და არც „ატლეტიკოსთან".

**ილია ნანობაშვილი**


# განცხადება

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია" ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.
რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.
გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური. დღეს

## E ჯგუფი

### შალკე — მილანი

გელზენკირხენი. „აუფშალკე". მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

როსტი, ბორდონი, კობიაშვილი, პაულსენი, ჰამილტ ალტინტოპი, ერნსი, რაფინია, კრსტაიჩი, კურანი, ლინკოლნი, სანდი

დიდა, კალაძე, ნესტა, კაფუ, მალდინი, ამბროზინი, გატუზო, პირლო, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო

### ფენერბაჰჩე — პსვ ეინდჰოვენი

სტამბოლი. „შუკრუ სარაკოღლუ". მსაჯი: მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

დემირელი, ეზატი, აურელიო, ლუსიანო, ტურაჩი, აპია, ალექსი, საჰინი, ბალჩი, ანელკა, თუნჯაი

გომესი, სიმონსი, ბისლი, კოკუ, რაიციგერი, ოლიერი, ლუსიუსი, ფარფანი, აფელაი, ადო, ჰესელინკი

## F ჯგუფი

### როსენბორგი — ლიონი

ტრონჰეიმი. „ლერკენდალი". მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

იონსენი, ბერგი, სტრანდი, სოლი, ვინსენსი, შელბრედი, სტორფლორი, ლაგო, ჰელსტადი, დორსინი, კვარმე

კუპე, დიარა, კრისი, კასაპა, რეველიერი, ტიაგუ, ბერტო, ვილტორდი, მალუდა, ჟუნინიო, კარეუ

### რეალი — ოლიმპიაკოსი

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

კასილიასი, ელგერა, ს. რამოსი, სალგადო, რ. კარლოსი, პ. გარსია, ბექემი, ბუტი, ბაპტისტა, რობინიო, რაული

ნიკოპოლიდისი, ანატოლაკისი, მავროგენიდისი, კოსტულასი, გეორგატოსი, სტოლტიდისი, ტური, რივალდო, ბაბანგიდა, ჯორჯევიჩი, კონსტანტინუ

# ისტორია და ქართველები

„შალკეს" წინა სტუმრობა ჩემპიონთა ლიგაში, რაც 2001 წლით თარიღდება, გელზენკირხენელთათვის უიღბლოდ დაიწყო — გუნდმა მიჯრით ორი თამაში წააგო. ამ სეზონში „შალკეს" პირველი თამაში წაგებული აქვს, მეორეში კი ლიგის შარშანდელ ფინალისტ „მილანს" ხვდება...

ეს, თავისთავადაც საინტერესო მატჩი, ჩვენთვის ორგზის საინტერესოა გასაგებ მიზეზთა გამო — ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ორად-ორი ქართველი თამაშობს და დღეს ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან.

კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი აქამდე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს მეტოქეებად. ისევე როგორც „მილანი" და „შალკე". თუმცა მილანის სხვა გუნდთან შეხვედრა გელზენკირხენელებს სასიამოვნო მოგონებებს აღუძრავს. 1996-97 წლების სეზონში, უეფას თასის ფინალში „შალკემ" პენალტების სერიაში დაამარცხა „ინტერი".

ამის გარდა, „შალკე" კიდევ ორჯერ გადაეყარა იტალიურ კლუბებს. 1977 წელს უეფას თასის პირველ წრეში გერმანელთა მეტოქე „ფიორენტინა" იყო. გელზენკირხენელებმა შინ 2:1 მოიგეს, თუმც მერე გაირკვა, რომ ფლორენციელებს თამაშის უფლების არმქონე ფეხბურთელი გაუყვანიათ მოედანზე და საბოლოო ჯამში ალემანებს 3:0 მოგება ჩაეთვალათ. კიდევ ერთხელ კი „შალკეს" მეტოქე ისევ „ინტერი" იყო. 1996-ში გელზენკირხენში მატჩი 1:1 დასრულდა, „სან სიროზე" კი იტალიელებმა იმარჯვეს. ერთი სიტყვით, „შალკე" საკუთარ მოედანზე იტალიურ კლუბებთან არასდროს დამარცხებულა.

„მილანს" ორჯერ უთამაშია გერმანელ კლუბებთან თასების მფლობელთა თასის ფინალში. 1968 წელს 2:0 მოუგო „ჰამბურგს", ხოლო 74-ში ამავე ანგარიშით დამარცხდა აღმოსავლეთ გერმანულ „მაგდებურგთან".

ჯგუფის მეორე წყვილს კი „მილანისგან" ძლეული „ფენერბაჰჩე" და „შალკეს" მძლეველი პსვ შეადგენენ.

ეს გუნდები აქამდე 27 წლის წინ, 1978-ის სექტემბერში შეხვდნენ ერთმანეთს ჩემპიონთა თასის პირველ რაუნდში. მაშინ თურქებმა სტამბოლში 2:1 მოიგეს. თუმცა მათი სიხარული ნაადრევი იყო: ვილი ვან დერ კუილენის ოთხი გოლით და გერი დეიკერსის დუბლით, პსვ-მ საპასუხო შეხვედრაში 6:1 იძალა. იმხანად პსვ უეფას თასის მოქმედი მფლობელი გახლდათ.

სხვათაშორის, ნახსენები დაპირისპირების მერე „ფენერბაჰჩე" კიდევ სამჯერ გადაეყარა ჰოლანდიურ კლუბებს და სამივეჯერ დაჯაბნილი დარჩა.

ამავე დროს პსვ-საც მუდამ უჭირდა თურქულ კლუბებთან თამაში. ისტორია გვამცნობს, რომ პსვ ოთხჯერ ჩასულა სტამბულში და იქიდან სამჯერ წაგებული, ერთხელ კი ფრით დაბრუნებულა.

ისტორიული ექსკურსი განვაგრძოთ და აღვნიშნოთ, რომ წინა შვიდ სალიგო შეხვედრაში „ფენერბაჰჩეს" მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია — ერთი ბურთი მაინც გაჰქონდა. მეორე მხრივ, „ფენერს" მაინც უარყოფითი ბალანსი აქვს: აქამდე ჩატარებულ ცხრა საშინაო მატჩში ოდენ სამჯერ დარჩა გამარჯვებული, მთლიანობაში კი 19 სალიგო მატჩიდან 13-ჯერ დამარცხდა.

პსვ, ცხადია, უფრო სახელიანი და ტიტულიანი გუნდია...

**ირაკლი ნინიძე**



კაკასა (მარცხნივ) და ანდრეი შევჩენკოს „მილანს" „შალკე" გამოცდის



ჟუნინიოს (მარცხნივ) „ლიონი" „რეალის" შემდეგ „რუსენბორგის" დასამარცხებლად ემზადება

# რივალდო სამეფო კლუბის წინააღმდეგ

**ვანდერლეი ლუშემბურგოს** მადრიდის „რეალი" დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ოლიმპიაკოსთან" საჭირო სამი ქულის მოსაპოვებლად იბრძოლებს. გალაქტიკოსთა გუნდი 2005-06 ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში „ლიონთან" 3:0 განადგურდა და ახლა ბერძნებთან კიდევ ფრე, მით უმეტეს, წაგება, მადრიდელთა თავმოყვარეობისთვის მძიმე დარტყმა იქნება. მასპინძლების ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო დაჯარიმებულია, ამიტომაც ლუშემბურგო მის ნაცვლად „ბერნაბეუზე" რობინიოს ათამაშებს. სხვა ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და „რეალი" ლიგაშიც ესპანური პრიმერას ბოლო თამაშში „ალავესის" წინააღმდეგ ნაცადი მეომრებით იბურთავებს (ის შეხვედრა სამეფო კლუბმა 0:3 მოიგო).

ლუშემბურგოს სასტარტო თერთმეტს გუტი არაფრით გამოაკლდება. ერთ დროს სათადარიგო სკამთან „დაძმაკაცებულმა" მოთამაშემ „ალავესთან" თავი გამოიჩინა და მწვრთნელი მოედნის შუაგულს კვლავინდებურად მას ჩააბარებს. სერხიო რამოსი და ივან ელგერა ისევ დაცვის ცენტრში იქნებიან.

ექვსჯერ გაუტანა ბრაზილიელმა რივალდომ „რეალს", საერთოდ კი „ბარსას" ექსლეგენდა და დღეს „ოლიმპიაკოსის" წამყვანი მოთამაშე „სანტიაგო ბერნაბეუს" გრანდს 16 ოფიციალურ შეხვედრაში დასჯახებია. 33 წლის რივალდოს გარდა გალაქტიკოსებს სხვა ძველი ნაცნობებიც მოაკითხავენ — ოდინდელი მადრიდელი დანი გარსია ლარა, „რასინგისა" და „ესპანიოლის" ყოფილი მეკარე, „ოლიმპიაკოსის" სათადარიგო გოლკიპერი ლემენსი, ექსბარსელონელი ანურა ბაბანგიდა და არგენტინელი გაბრიელ შურერი, რომელიც ადრე „სოსიედადის", „დეპორტივოსა" და „რასინგის" მოთამაშე იყო. ბერძნულმა კლუბმა საბერძნეთის ჩემპიონატში ბოლოს „აკრატიტოსს" 2:0 მოუგო.

**F** ჯგუფის სხვა შერკინება „ლერკენდალის" არენაზე გაიმართება — პერ-მატიას ჰიოგმოს „რუსენბორგი" ძალებს ფრანგულ „ლიონთან" მოსინჯავს. ნორვეგიულმა გუნდმა შინაურ ჩემპიონატში არცთუ ურიგოდ მობურთავე „ოდი" 6:0 გაანადგურა, ასე რომ მომხვდურ გალებს ვიკინგები ჩინებულ გუნებაზე დაუხვდებიან. დღევანდელმა სტუმარ-მასპინძელმა 2002-03 წლების ლიგაში ერთმანეთი გაამწარა.

მაშინ „ლიონმა" ჩრდილოელებს შინ 5:0 მოუგო, „რუსენბორგმა" კი **D** ჯგუფის ბოლო მატჩი ფრანგებთან ფრედ, 1:1 დაასრულა და შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსები მოუსპო. „ლერკენდალზე" საომრად ქერარულიეს კლუბიც საბრძოლო განწყობაზე ჩადის — „ლიონს" საფრანგეთის პირველობაზე ბოლო თამაში „ნანტთან" გასვლაზე 0:1 აქვს მოგებული და ცხრილში მეორე ადგილზეა.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ლივერპული — ჩელსი

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

რეინა, ხოსემი, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, ჯერარდი, ჰამანი, ალონსო, ზენდენი, გარსია, სისე

ჩეხი, ფერეირა, გალასი, ტერი, დელ ორნო ან კარვალიუ, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, დაფი, კრესპო, რობენი

### ანდერლეხტი — ბეტისი

ბრიუსელი. „კონსტანტ ვადენ სტოკი“. მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია)

ჟიტკა, ვანდერჰეიგე, დეშახტი, იუპასი, ჟევლიაკოვი, გოორი, ტიინენი, დე მანი, ვანდენ ბორე, მ. მპენზა, აკინი

დობლასი, რივასი, ხუანიტო, ვარელა, არსუ, ფერნანდო, ო. ლოპესი, ასუნსაო, მელი, ხოაკინი, ოლივეირა

# ინგლისური სუპერდერბი

**რაპიდა** ამ ტურში ლიგის ახლანდელი გამარჯვებული და მორიგი ფავორიტი ერთმანეთს ხვდებიან, ჯგუფის მეორე მატჩზე სიტყვის გაგრძელება, ალბათ, არც ღირს. ამიტომ „ანდერლეხტისა“ და „ბეტისის“ დაპირისპირებაზე მოკლედ მოგახსენებთ და საანონსო ფართის მეტ წილს ინგლისურ შერკინებას დავუთმობთ.

„ანდერლეხტს“ ჩემპიონთა ლიგაში მიჯრით რვა წაგება დაგროვებია, თუმც „ბეტისთან“ მატჩს იმედით უყურებს: ერთი რომ, სევილიური კლუბი ლიგის დებიუტანტია და თანაც ბელგიაში ესპანურ კლუბებს არასდროს მოუგიათ. აქამდე „ანდერლეხტმა“ შვიდჯერ უმასპინძლა ესპანელებს და შვიდჯერვე დაამარცხა დიდებული ბურთების შეფარდებით: 15:1.

ახლა კი, „ლივერპული“ **VS** „ჩელსი“.

„ჩელსი“ აქამდეც დაგვიმარცხებია და ახლაც შეგვიძლია დავამარცხოთ. დიახ, ახლა მათ უკეთესი გუნდი ჰყავთ ვიდრე წინა სეზონში, მაგრამ მას მერე ჩვენც მნიშვნელოვნად გავძლიერდით“ — თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

ამის პასუხად „ჩელსის“ კაპიტანმა ჯონ ტერიმ განაცხადა: „მაშინდელი წაგების მერე თავს საზიზღრად ვგრძნობდი. ეგეთ ცუდ განწყობაზე ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. მაგრამ ის მარცხი უკვე წარსულს ჩაბარდა, დღეს კი „ჩელსის“ მომგები არავინ მეგულება. შეხედეთ, როგორ დავიწყეთ ეს სეზონი“.

ვინძლო შეხსენება საჭირო არც იყოს, რომ „მაშინდელ ამბებში“ ბენიტესი და ტერი „ლივერპულის“ და „ჩელსის“ ლიგის წინა სეზონის ნახევარფინალურ დაპირისპირებას გულისხმობენ, ხოლო თუ შევხედავთ, როგორ დაიწყო „ჩელსიმ“ ეს სეზონი, დავინახავთ, რომ პრემიერლიგაში მიჯრით 7 მატჩი მოიგო და ერთიც ჩემპიონთა ლიგაში მიაყოლა.

არადა, ლონდონელები იმ მარცხს ახლაც სინანულით იგონებენ. ჟოზე მაურინიუმ ამასწინათ თქვა, 50-წლიანი პაუზის მერე ინგლისის ჩემპიონები გავხდით, რაც უზომოდ გაგვიხარდა, მაგრამ ლიგის ნახევარფინალიდან გავარდნა მაინც ხინჯად მაწევს გულზეო.

დღევანდელ მატჩში „ჩელსის“ ბასკი ასიერ დელ ორნო დაუბრუნდება, რომელსაც მყესის ტრავმა ჰქონდა და მისი დაბრუნება კიდევ უფრო გააძლიერებს ლონდონელთა ისედაც გალავანივით ალმართულ დაცვას — „ჩელსის“ ამ სეზონში ოდენ ერთი გოლი აქვს გაშვებული.

„ლივერპულთან“ თავისი ანგარიში აქვს ერნან კრესპოს. გეხსომებათ, წინა სეზონში ის „მილანში“ იყო განათხოვრებული, სტამბოლურ ფინალში „ლივერპულს“ ორი გოლიც გაუტანა, მაგრამ რად გინდა...

ლივერპულელთა ბოლო პერიოდის თამაში კი ძლიერ გავს შარშანდელს — ბრწყინვალეა ლიგაში, შინაურ პირველობაზე კი მაინცდამაინც ვერ ჩაუქობს. ბენიტესის გუნდის შანსს დღევანდელ შეხვედრაში სტივენ ჯერარდის დაბრუნებაც ზრდის, ვინაც ტრავმის მერე ახლახანს განაახლა ბურთის გორება.

მერსისაიდელებს ჯიბრილ სისეს დიდი იმედიც აქვთ — მან ამ სეზონში უკვე შვიდი გოლი გაიტანა.

**ირაკლი ნინიძე**



სტივენ ჯერარდი




ფრენკ ლამპარდი

## H ჯგუფი

### ინტერი — რეინჯერსი

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სეზარი, მატერაცი, სამოელი, კორდობა, ვომე, ფიგუ, ძანეტი, სტანკოვიჩი, პიზარო, ადრიანო, მარტინსი

ვატერეუსი, ბერნარი, რიკსენი, კირიაკოსი, ფერგიუსონი, როდრიგესი, მიურეი, ნამუჩი, ჯეფერსი, ლოვენკრანდსი, პრსო

### პორტუ — პეტრჟალკა

პორტუ. „დრაგაუ“. მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

ბაია, გონსალესი, რ. კოშტა, ემანუელი, პეპე, იბსონი, ჟორჟინიო, შოკოტა, დიეგო, სეზარი, მაკარტი

ჩობეი, ვაშჩაკი, დიურიცა, სტანო, დებნარი, გალენარჟი, ჰარტიგი, ფოდრეკი, პეტრაში, ურბანეკი, კოზაკი



„ინტერს“ „რეინჯერსთან“ ხუან სებასტიან ვერონი (მარცხნივ) და მაყურებელი არ ეყოლება

# სიცარიელე და ვასარასი

**„ინტერის“** წილი „სან სირო“ ოთხი მატჩითაა დისკვალიფიცირებული, ამიტომ „რეინჯერსს“ ცარიელი ტრიბუნები დახვდება. გეხსომებათ, რომ ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების მეოთხედფინალში „ინტერის“ ფანებმა „მილანის“ მეკარე დიდა დადაღეს, შეხვედრა ჩაიშალა და „შავ-ლურჯებს“ ოთხმატჩიანი სასჯელი აჰკიდეს. აქედან ერთი „ინტერმა“ უკვე მოილია, „რეინჯერსის“ შემდეგ კი კიდევ ორი დარჩება.

„სან სიროს“ სიცარიელე გლაზგოელი „ჩაფრების“ შანსს ზრდის. ასე თვლის გლაზგოელთა თავკაცი ალექს მაკლიშიც: „ეს მცირე უპირატესობაა, რომლის გამოყენებაც გვმართებს. ფეხბურთელებმა იციან, რომ მათი მეტოქე უმაღლესი კლასის გუნდია და მთელი მსოფლიო ნახავს ამ მატჩს“.

„ჩვენ ისევე უნდა ვითამაშოთ, როგორც „პორტუსთან“ და თუ შევძლებთ მაშინ „ინტერის“ დონის გუნდთან გამკლავებაც არ გაგვიჭირდება“—თქვა „ჩაფრების“ ნახევარმცველმა ფერნანდო რიკსენმა.

კვლავ ალექს მაკლიში: „ფურცელზე როცა უყურებ, „ინტერი“ ფავორიტია. „პორტუსაც“ ფავორიტად თვლიდნენ, მაგრამ ჩვენ დავამარცხეთ. ფეხბურთში ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან ქაღალდები კი არა, ფეხბურთელები თამაშობენ.“

„რეინჯერსი“ რომ ფეხარეულია, შოტლანდიის ჩემპიონატის ცხრილიდანაც ჩანს, გასულ უქმეებზე ედინბურგში „ჰართსთან“ დამარცხდნენ და მას ახლა 11 ქულით ჩამორჩებიან. „ჩაფრებს“ მეგოლე ნაჩო ნოვო დაუშავდათ, რომლის მოტეხილი ფეხის გამთელებას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება.

შოტლანდიურ პრემიერლიგაში „რეინჯერსის“ ცუდი თამაში რობერტო მანჩინისთვის არაფერს ნიშნავს: „რეინჯერსი“ სოლიდური გუნდია. ჩემპიონატი ჯერ ახალი დაწყებულია და მჯერა, რომ პირველობისთვის კვლავ იბრძოლებენ. ისინი ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან და არც ტაქტიკური ცოდნა დაეწუნებათ. ჩვენ ფანები არ გვეყოლება, რაც მათ ერთგვარ კომფორტს შეუქმნის. ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით მობილიზებულ და აგრესიულად თამაშობენ, ვიდრე შინა ჩემპიონატში. მე ვნახე „რეინჯერსი“ — „პორტუს“ მატჩი და დარწმუნებული ვარ, ასევე თავდაუზოგავად იბრძოლებენ ჩვენთანაც“.

„ინტერმა“ გასულ კვირაში სერია A-ს ორ ტურში ორივე მატჩი მოიგო. ჯერ „კალიარის“ სძლია, მერე კი „ფიორენტინა“ ობაფემი მარტინსის გოლით დაამარცხა. ნიგერიელ ფორვარდზე მანჩინიმ თქვა: „ფიორენტინასთან“ კარგად ითამაშა და კიდევ მეტიც შეუძლია. ფორმაში რომ შევა, უკეთესი გახდება. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ, თუმც საგოლე მომენტების გამოუყენებლობა მაფიქრებს“.

მასპინძლებს ტრავმირებული სინიშა მიხაილოვიჩი და ხავიერ ძანეტი დააკლდებათ, ხუან სებასტიან ვერონი კი „პეტრჟალკასთან“ გაძევების გამო დისკვალიფიცირებულია.

„ინტერი“ და „რეინჯერსი“ 1965-ში ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში შეხვდნენ. „შავ-ლურჯებმა“ მაშინ გლაზგოელებს აჯობეს და იმ წელს თასიც დაისაკუთრეს.

„ჩაფრებმა“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ბოლოს ხუთი წლის წინ მოიგეს. 2000-ის 20 ოქტომბერს „მონაკო“ დაამარცხეს. მას შემდეგ ხუთი გასვლითი მატჩიდან ოთხი წააგეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

დღევანდელ შეხვედრას კიროს ვასარასი განსჯის. ვასარასის ნამსაჯ მატჩებში შოტლანდიელებს ხეირი არ უნახავთ. „სან სიროზე“ გლაზგოს „რეინჯერსი“ ადრე „მილანთან“ დამარცხდა, ხოლო შოტლანდიის ნაკრები მარტში ამავე სტადიონზე — იტალიასთან.

„პორტუ“ ბრატისლავურ კლუბებს ოთხჯერ დაჯახებია და სამჯერ დამარცხებულა. 1959 წელს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში პორტუგალიური გუნდი ბრატისლავის „ინტერს“ შეხვდა. ინტერელებმა შინ 2:1, სტუმრად კი 2:0 მოუგეს მეტოქეს.

1969-ში უეფას თასის მეორე ეტაპზე „პორტუ“ „სლოვანას“ გადაეყარა. შინ 1:0 სძლია, მაგრამ გასვლაზე 0:4 დამარცხდა.

კო ადრიანსეს გუნდმა შინა ჩემპიონატის მატჩში გასულ უქმეებზე „ბელენენსეში“ მაკარტისა და ჟორჟინიოს გოლებით დაამარცხა. „რეინჯერსთან“ დუბლის შემსრულებელმა პეპემ, პედრო ემანუელმა, ჟორჟე კოშტამ და ტიმოსლავ შოკოტამ შეხვედრა ტრავმების გამო გამოტოვეს.

„პეტრჟალკას“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში სტუმრად გოლი არ გაუტანია და ეგებ დღეს, ჯგუფში მაინც მოახერხოს ნავსის გატეხვა. ბრატისლაველთა მწვრთნელმა ვლადიმირ ვეისმა თქვა, დასაკარგი არაფერი გვაქვსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დეფოს პირველი



ჯერმან დეფომ (მარცხნივ) მარტინ იოლის გუნდი ცხრილში აამაღლა

**ჯერმენ დეფოს** გოლმა „ტოტენჰემს" „ფულემი" დაამარცხებინა და მარტინ იოლის გუნდი მეოთხე ადგილზე ააცოცა.

დეფომ პირველად გაიტანა ამ სეზონში, თანაც თამაშის დასაწყისშივე „ტოტენჰემმა" მოიგო, მაგრამ თამაში მაინც არ გამოუვიდა, „ფულემს" ბურთი გვარიანად ეჭირა, თუმც საპასუხოს გატანა მაინც ვერ მოახერხა — მხოლოდ ძელს ჰკრა ბურთი.

იოლმა კი ოდნავ წაიტრაბახა, თან ისე, რომ გასულ კვირაში, გრიმსბიში განცდილი სათასო დამცირება არც გახსენებია: „ჩვენ ძალიან კარგი გუნდი ვართ და ეს დავამტკიცეთ. დიდებული ფეხბურთელები გვყავს, ვთქვათ, ჯერმენ ჯენასი და აარონ ლენონი".

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VII ტური

### ტოტენჰემი 1:0 ფულემი

1:0 დეფო (8)

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ნაიბეტი, კინგი, სტალტერი, ლი, ლენონი (რიდი 71), მენდეში, ჯენასი, დავიდსი, მიდო (რასიაკი 89), დეფო (რობი კინი 75)

მწვრთნელი: მარტინ იოლი

**ფულემი:** უორნერი, ფოლცი, ბოკანეგრა, ნაითი, ნ. იენსენი, რაძინსკი, დიოპი, მალბრანკი, კ. იენსენი, ბოა მორტე, მაკბრაიდი (ჯონი 75)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ნაითი, ჯონი, დიოპი

მსაჯი: ვაილი

35 427 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 7 | 7 | 0 | 0 | 14:1 | 21 |
| ჩარლტონი | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 15 |
| ბოლტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 14 |
| ტოტენჰემი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 12 |
| ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 11 |
| სიტი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| უიგანი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 10 |
| ნიუკასლი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| მიდლსბრო | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | 8 |
| ლივერპული | 5 | 1 | 4 | 0 | 3:2 | 7 |
| ბირმინგემი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | 6 |
| ასტონ ვილა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 |
| პორტსმუთი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| ფულემი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| სანდერლენდი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | 4 |
| ევერტონი | 6 | 1 | 0 | 5 | 1:7 | 3 |



# რენე იგიტამ სახე შეიცვალა

**სახელგანთქმულ** კოლუმბიელ გოლკიპერ რენე იგიტას ამიერიდან იოლად ველარ იცნობთ. როგორც იქაური გაზეთები იუწყებიან, პლასტიკური ოპერაციის შემდეგ სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის გარეგნობაში 80 პროცენტზე მეტია შეცვლილი... რენე „ელ ლოკო" (გიჟი) იგიტა სახის ქირურგიულ კორექციაზე გასულ თვეში დათანხმდა, გუშინ კი „განახლებული" წარსდგა ჟურნალისტების წინაშე და კარგა გვარიანადაც განაცვიფრა მრავლისმნახველი კოლუმბიური მედია. ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, მთლიანად სახე... ერთი სიტყვით, კაცი ერთიანად შეცვლილიაო — აცხადებდა გუშინ ერთი კოლუმბიური გაზეთი.

იგიტას ახალი იმიჯი ადგილობრივი სატელევიზიო შოუს „ექსტრემალური ცვლილებების" დამსახურებაა. გადაცემის წესისამებრ, სტუდიაში მიწვეულ მახინჯებს (გვაპატიოს „ელ ლოკომ") დარბაზში მყოფი პლასტიკური ქირურგიის ექსპერტები ახალ გარეგნობას გადაუწყვეტენ ხოლმე. გალამაზებულ მეკარეს მაყურებელი შოუში კვირას პირველად იხილავს, იქამდე კი რენეს სახე საიდუმლოდ რჩება. შეგახსენებთ, რომ 39 წლის ვეტერანი საფეხბურთო კარიერის ჟამს კოლუმბიურ „ატლეტიკო ნასიონალში" და „მილიონარიოსში", ასევე ესპანურ „ვალიადოლიდში" და მექსიკურ „ვერაკრუსში" ბურთაობდა. მერე ეკვადორულ „აუკასში" იყო მცირე ხანს, ოღონდ იქიდან კოკაინის სიყვარულის გამო დაითხოვეს. იგიტა კოლუმბიის ნაკრების ძირითადი მეკარე 1990-ისა და 1994 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**

# უძღები შვილის დაბრუნება



ლორენსო სანსი მალე „პარმასთვის" ესპანურ ნაცნობობას დაატრიალებს

**„პარმას"** ახალი მეპატრონის ლორენსო სანსის მთავარი სამიზნე ექსპარმელი, ამჟამად კი ვალენსიელი მარკო დი ვაიოა. ესპანელი ბიზნესმენი სულ მალე მოათავებს კლუბის შესყიდვასთან დაკავშირებულ ფორმალობებს და სავარაუდოდ უკვე იანვარში სატრანსფერო ბაზარზე დიდი ფულით გამოჩნდება.

მადრიდის „რეალის" ყოფილი მფლობელი აპირებს, „ლა ლიგასთან" თავისი კავშირები „ენიო ტარდინის" ბინადართა გასაძლიერებლად გამოიყენოს. ცნობილია, რომ მარკო დი ვაიოს ესპანეთში გადაბარგება ვერ აღმოჩნდა მაინცდამაინც წარმატებული. მას შემდეგ, რაც მან 2004 წელს „იუვენტუსი" მიატოვა, იტალიელი სკაუტები თვალს არ აშორებდნენ იმ იმედით, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი დაბრუნდებოდა და აი, შეიძლება ეს მართლაც მოხდეს.

პირინეებზე ხელმოცერული დი ვაიოს გარდა, სანსს 22 წლის სევილიელის, დანიელ ალვეშისა და მადრიდის „ატლეტიკოს" მარცხენა მცველ ანტონიო ლოპესის შეძენა სურს.

„პარმას" ყოფილი გენერალური დირექტორი ლუკა ბარალდიც აპირებს კლუბში დაბრუნებას. რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა:

„კლუბის ახალ მფლობელებს ვესაუბრე ჩემს კონტრაქტზე, თუმცა დეტალებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, „პარმას" სანსების ოჯახის სახით შესანიშნავი პატრონი გამოუჩნდა. რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, გრძელვადიან პროექტს ვანიჭებთ უპირატესობას. აქცენტს ნიჭიერ ახალგაზრდებზე გადავიტანთ".

**ზურაბ გოცირიძე**

# სილვიო ბალდინი გრეგუჩის ნაცვლად

**მას** შემდეგ, რაც გრეგუჩის გაწვრთნილმა „ლეჩემ" ემპოლისთან 0:1 წააგო, ნათელი გახდა, რომ გუნდი უმწვრნელოდ დარჩებოდა. ასეც მოხდა. „ლეჩეს" აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა ამ პოსტზე უაღრესად პოპულარული ზდენეკ ზემანი შეცვალა და თავისი მმართველობის მოკლე პერიოდში ის მოახერხა, რომ კლუბმა ხუთ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

გრეგუჩი გრეგუჩად, მაგრამ „ლეჩეს" ახალი მთავარი მწვრთნელი ესაჭიროებდა. იყო საუბრები ჯუზეპე პაპადოპულოსა და კარლო მაცონეს შესახებ, მაგრამ საბოლოოდ კონტრაქტი სილვიო ბალდინისთან გაფორმდა, სპეციალისტთან რომელმაც „პალერმო" ელიტაში დააბრუნა.

„ლეჩეს" სადღეისოდ ძალიან უჭირს და ბალდინის მთავარი ამოცანაც ცხადია გუნდის სერია A-ში დატოვება იქნება.

**ზურაბ გოცირიძე**

# კეიროში თავს იმართლებს



კარლუშ კეიროში ფერგიუსონს გამოესარჩლა

**„მანჩესტერის"** მეორე მწვრთნელმა, კარლუშ კეიროშმა კლუბის ის ფანები გამოლანძღა, „ბლექბერნთან" წაგებისთვის სერ ალექს ფერგიუსონს რომ უსტვინეს და აგინეს.

კეიროშმა უთხრა „ოგლობოს": „ხალხი ითხოვდა 4-4-2 ტაქტიკით გვეთამაშა. ვითამაშეთ და წავაგეთ. ამ ტაქტიკით აქამდე არასოდეს გავსულვართ. ამიტომ ფეხბურთი სულელთა ასპარეზიც არის და არც ენას აქვს ძვალი".

შეურაცხყოფილ ფერგიუსონს, „არსენალის" ბოსმა, არსენ ვენგერმაც დაუჭირა მხარი: „იცით, რომ მეგობრები არა ვართ. რაცა ვართ ესა ვართ, მაგრამ რაც მან კლუბისთვის გააკეთა უნიკალური და დაუჯერებელიც კია. ამიტომ, ფანებს მეტი თავშეკავება მართებთ".

კეიროშთან კი ჩხუბი მოსვლია რაიან გიგზს, რომელიც არცერთხელ არ ყოფილა სასტარტოში, რაც სეზონი დაიწყო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბიანკი ექვსი თვით...

**ექიმების** ვერდიქტით, „რეჯინასა" და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე როლანდო ბიანკი ექვსი თვით გამოეთხოვება ფეხბურთს.

„კალიარის" ყოფილ ფორვარდს შოტლანდიასთან სექტემბრის დასაწყისში გამართულ შეხვედრაში დაუშავდა ფეხი. თავიდან ეგონათ, რომ ტრავმა უმნიშვნელო იყო და ბიანკის ყველაზე დიდი, ოთხი კვირა უნდა დაესვენა, თუმც აღმოჩნდა, რომ კალაბრიელი საოპერაციოა.

იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში იგი ალბერტო ჯილარდინოს მემკვიდრედ ითვლებოდა, ახლა კი თავიდან ექნება ყველაფერი დასამტკიცებელი.

მის გარეშე გაუჭირდება „რეჯინასაც", გუნდი ისედაც გასავარდნ ზონაში იმყოფება. კალაბრიელებმა ხუთ თამაშში მხოლოდ სამი ქულა მოიპოვეს.

**ზურაბ გოცირიძე**

# მომწონს რეალი, არ მომწონს ფოტოგრაფები

*ჩემპიონთა ლიგაში „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრის წინ „რეალის“ ინგლისელი გალაქტიკოსი დევიდ ბექემი მადრიდული „ასის“ ჟურნალისტს გაესაუბრა. ალბიონელმა მედიასთან შეხვედრაში სამეფო გუნდი შეაქო და განაცხადა, რომ ბერძნებთან საშინაო ჯახს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბიჭები გულდამშვიდებულები შეხვდებიან. „რეალმა“ ესპანურ პრიმერაში „ალავესს“ 3:0 მოუგო, ხოლო ბექემი ესპანური ენის სწავლაში წინ მიდის — „ასის“ ცნობით, ინგლისელი ინტერვიუს დროს უმთავრესად კასტილიურად საუბრობდა*



— „ალავესთან“ ამასწინდელი გამარჯვების შესახებ რას გვეტყვით?

— პრიმერადივიზიონის მეხუთე ტურში ჩატარებული თამაში კლუბისთვისაც და ფეხბურთელებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმც, ჩემი აზრით, წინა შეხვედრაში „ბილბაოსთან“ მოგებამ „რეალს“ უფრო მეტი სიკეთე მოუტანა — გუნდმა საკუთარი შესაძლებლობების რწმენა აღიდგინა.

— თქვენი გუნდი ახლა გასული სეზონის „რეალს“ წააგავს...

— მთავარია, რომ მიზნის მისაღწევად ყველა ერთად ვიბრძვით. პირადად მე წლევანდელი „რეალის“ თამაში ძალიან მომწონს.

— ფიზიკურად როგორ გრძნობთ თავს?

— შესანიშნავად. მზად ვარ, ისევ მაღალ დონეზე ვითამაშო. ვფიქრობ, დიდ ფეხბურთში კიდევ 4 ან 5 წელი დავრჩები. ჩემი ოჯახი წინსვლაში ყველანაირად მიწყობს ხელს.

— „ალავესთან“ რონალდომ თავისი გოლი უცნაურად აღნიშნა — ბრაზილიელი მიწაზე გაწვა და ჰაერში ფეხებს ასავსავებდა. მერე კიჭას „ცეკვას“ თანამემამულეები, რობერტო კარლოსი და რობინიოც შეუერთდნენ. ეს როგორ მოგწონთ?

— მართალი გითხრათ, თავიდან ვერაფერი გავიგე. როცა გოლი გამაქვს, განსაკუთრებულად არასოდეს აღვნიშნავ — ცეკვა, კარნავალი და მსგავსი რაღაცეები ბრაზილიელების საქმეა...

— ამ ბოლო დროს სამეფო კლუბმა მაღალ ბურთებზე თამაშიც გამოასწორა...

— ბოლო სამი მატჩია, თავით მართლაც ბევრი გოლები გავიტანეთ. რამდენიმე ფეხბურთელი უნდა დავასახელო, რომლებიც მაღალ ბურთებზე თამაშის ოსტატებად მიმაჩნია — ჯონათან ვუდგეიტი, სერხიო რამოსი, პავონი, ელგერა... ამ ბიჭების წყალობით ჩემი ჩაწოდებული კუთხურები გოლებად იქცევა ხოლმე, რაულზე და რობინიოზე რომ არაფერი ვთქვათ...

— „ესპანიოლთან“ და „სელტასთან“ შეხვედრებში არბიტრთა შეცდომებზე რას ფიქრობთ?

— ყოველთვის ვცდილობ, ამ თემაზე არ ვისაუბრო. მსაჯებზე საერთოდ არაფერს არ ვამბობ და, მგონი ეს საუკეთესო გამოსავალია.

— და თქვენი მწვრთნელის, ვანდერლეი ლუშემბურგოს არჩეული ტაქტიკა?

— მოდი, ტაქტიკასაც ნუ შევეხებით. ფეხბურთი ფეხბურთია. ტაქტიკა და სტრატეგია დამრიგებელზეა დამოკიდებული. თუმც, რა თქმა უნდა, მიხარია, ლუშემბურგოს შემოთავაზებული სქემა გუნდმა რომ კარგად აითვისა.

— მადრიდულ გრანდთან კონტრაქტის განახლებას როდის აპირებთ?

— კლუბის უფროსობას ხელშეკრულების განახლებაზე უკვე ველაპარაკე. სავარაუდოდ, შეთანხმებას ოქტომბერში უნდა მივაღწიოთ.

— ესპანურ ცხოვრების წესს როგორ შეეჩვიეთ?

— მშვენივრად. ახლა მარტო საფეხბურთო საქმეებზე მაქვს ყურადღება გადატანილი. ოღონდ პაპარაცები... გამოგიტყდებით, საშინელებაა ყოველდღე სახლის კართან 3 ან მეტი ფოტომონადირე რომ გდარაჯობს. თუმც ნელ-ნელა ამასაც ვეჩვევი. მინდა, მადრიდში დავრჩე და კარიერა „რეალში“ გავაგრძელო. კლუბის მესვეურებმაც ჩემი სურვილის შესახებ ყველაფერი იციან.

— ესპანურად უკვე კარგად ლაპარაკობთ...

— უცხო ენის შესწავლა ყველაზე მეტად გამიჭირდა, რადგან თამაშებისა და ვარჯიშების გამო თავისუფალი დრო პრაქტიკულად არ მაქვს. თუმც დანებებას არ ვაპირებ. გაისად უკვე მთლიანად თქვენს მშობლიურ ენაზე გესაუბრებით.

— ჩემპიონთა ლიგაზე „ოლიმპიაკოსთან“ შეხვედრას სამეფო გუნდი როგორ ხვდება?

— „რეალის“ ბანაკში სრული სიმშვიდეა. ბერძნებთან სათამაშოდ ყველანი მობილიზებულები ვართ და იმედია, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ინჩასობაც კარგ ფეხბურთს ნახავს.

— თქვენი აზრით, გუნდის თამაშის გასაუმჯობესებლად რა უნდა შეიცვალოს?

— ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს და შედეგებიც კარგი გვექნება. ჩვენს უკანახაზელებს ბევრი სისუსტეს აბრალებს, თუმცა ვუდგეიტის, ელგერასა და პავონისგან შემდგარ დაცვას არაფერი აქვს დასაწუნი. დღევანდელ „რეალში“ გადაუდებელი ცვლილებების საჭიროებას ვერ ვხედავ.

# სენა ბრაზილიელი არ ხარ?



„ვილიარეალის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი მარკოს სენა ესპანეთის ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობს.

„ძალიან მინდა, ესპანეთის ეროვნულ გუნდში ვითამაშო. დღეს ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრა მაღალი კონკურენციის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც არაგონესის მოწვევას დიდი იმედებით ველოდები“ — განუცხადა „ვილიას“ ოკეანისგალმელმა მოთამაშემ „მარკას“ ჟურნალისტს.

სენას იმედები არცთუ ისე უსაფუძვლო ჩანს. ამასწინათ ესპანელთა მხცოვანმა დამრიგებელმა ბრაზილიელის მაღალი ოსტატობით გამოწვეული აღტაცება არ დამალა და აღნიშნა, რომ კასტილიელთა ეროვნულ გუნდს სწორედ მარკოსისნაირი მოთამაშეები ესაჭიროება.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ესპანეთს წინ ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელოდება და მეც სულით და გულით ვარ მზად არაგონესის ბიჭებს გერმანია 2006-ის საგზურის მოპოვება გავუადვილო“ — თქვა სენამ.

**ლადო ხომერიკი**

## იტალია

**სერია B. VII ტური**

**ბარი 0:1 ბოლონია**

0:1 ბელუჩი (12)

**პიაჩენცა 1:0 ალბინოლეფე**

1:0 ჯანკი (72პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | 16 |
| ატალანტა | 6 | 5 | 0 | 1 | 11:7 | 15 |
| მოდენა | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| კატანია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| ბოლონია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| კროტონე | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბრეშა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| არეცო | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| ვერონა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| ტრიესტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:2 | 9 |
| ტორინო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ვიჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| ჩეზენა | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| რიმინი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| კრემონეზე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| პესკარა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ბარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| კატანძარო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| ტერნანა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |
| ალბინოლეფე | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |
| აველინო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:12 | 2 |

## შვედეთი

**ალსვენსკა. XXII ტური**

**გიოტებორგი 2:1 მალმიო**

**ჰამარბი 3:0 ასირისკა**

**ლანდსკრონა 1:0 იორგრიტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 23 | 14 | 4 | 5 | 46:24 | 46 |
| გიოტებორგი | 23 | 12 | 7 | 4 | 29:15 | 43 |
| მალმიო | 23 | 11 | 5 | 7 | 32:24 | 38 |
| ჰამარბი | 23 | 10 | 7 | 6 | 39:25 | 37 |
| კალმარი | 23 | 9 | 9 | 5 | 30:20 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 11 | 3 | 9 | 30:34 | 36 |
| ჰეკენი | 23 | 10 | 2 | 11 | 27:25 | 32 |
| იორგრიტე | 23 | 9 | 4 | 10 | 31:33 | 31 |
| ელფსბორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:30 | 31 |
| ჰალმსტადი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:30 | 29 |
| ლანდსკრონა | 23 | 7 | 6 | 10 | 23:35 | 27 |
| გეფლე | 23 | 7 | 4 | 12 | 21:30 | 25 |
| სუნდსვალი | 22 | 4 | 7 | 11 | 24:41 | 19 |
| ასირისკა | 23 | 4 | 2 | 17 | 15:41 | 14 |

## ჩეხეთი

**I ლიგა**

**VII ტური**

**მოსტი 0:2 სიგმა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ტეპლიცე | 7 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 16 |
| ბოლესლავი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:12 | 13 |
| სიგმა | 7 | 4 | 0 | 3 | 11:11 | 12 |
| პრჟიბრამი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 11 |
| იჰლავა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| სპარტა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| მოსტი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:9 | 9 |
| იაბლონეცი | 7 | 3 | 0 | 4 | 13:13 | 9 |
| სლავია | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 9 |
| პლზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ბანიკი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| ზლინი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| სლოვაცკო | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| ბლშანი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:14 | 7 |
| ბრნო | 7 | 0 | 3 | 4 | 7:11 | 3 |

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XXIV ტური**

**ინტერი 0:1 ტამპერე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 23 | 15 | 5 | 3 | 43:17 | 50 |
| ჰიკ | 24 | 13 | 7 | 4 | 40:25 | 46 |
| ტამპერე | 23 | 13 | 6 | 4 | 33:18 | 45 |
| ჰაკა | 24 | 11 | 11 | 2 | 42:19 | 44 |
| ინტერი | 23 | 11 | 7 | 5 | 33:15 | 40 |
| ლაჰტი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:36 | 34 |
| ტურკუ | 25 | 9 | 5 | 11 | 32:35 | 32 |
| ალიანსი | 24 | 7 | 10 | 7 | 30:38 | 31 |
| კტპ | 24 | 8 | 6 | 10 | 33:40 | 30 |
| კუოპიო | 24 | 7 | 4 | 13 | 27:42 | 25 |
| იარო | 24 | 6 | 6 | 12 | 19:29 | 24 |
| მარიეჰამნი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:36 | 23 |
| როვანიემი | 24 | 3 | 8 | 13 | 18:45 | 17 |
| ტპ 47 | 24 | 4 | 4 | 16 | 22:38 | 16 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. [illegible]**

**ჰანზა 1:0 ალემანია**

1:0 დი სალვო (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:8 | 16 |
| ბოხუმი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:5 | 15 |
| მიუნხენი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| ფრაიბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| ალემანია | 7 | 4 | 0 | 3 | 16:12 | 12 |
| პადერბორნი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:8 | 12 |
| კარლსრუე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| ზიგენი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ფიურტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:12 | 10 |
| ოფენბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:14 | 10 |
| აუე | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| ბურგჰაუზენი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| ჰანზა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| უნტერჰახინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:12 | 5 |
| ალენი | 7 | 0 | 2 | 5 | 8:17 | 2 |
| ზაარბრიუკენი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:21 | 1 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. V ტური**

**ბოავიშტა 2:1 აკადემიკა**

1:0 ჟარი (5), 1:1 ლუსიანო (16), 2:1 პინტუ (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| სპორტინგი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| ბრაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 11 |
| ნასიონალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| ბელენენსეში | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 9 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 3 | 0 | 2 | 5:2 | 9 |
| რიუ ავე | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ბენფიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| ნავალი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| სეტუბალი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| ფერეირა | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| ამადორა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| გიმარაეში | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| აკადემიკა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| მარიტიმუ | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |
| ლეირია | 5 | 0 | 2 | 3 | 1:8 | 2 |
| პენაფიელი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. IX ტური**

**სეტე 2:0 მონპელიე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 9 | 6 | 2 | 1 | 16:6 | 20 |
| კრეტეი | 9 | 5 | 3 | 1 | 16:6 | 18 |
| სედანი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:7 | 18 |
| ლორიანი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:8 | 15 |
| ამიენი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:8 | 14 |
| ვალანსი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:10 | 14 |
| გრენობლი | 9 | 4 | 2 | 3 | 7:9 | 14 |
| შატორუ | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 13 |
| ლე ავრი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:13 | 12 |
| ისტრი | 8 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 11 |
| ბრესტი | 9 | 2 | 5 | 2 | 8:9 | 11 |
| გენიონი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:9 | 11 |
| დიჟონი | 9 | 2 | 4 | 3 | 6:7 | 10 |
| კლერმონი | 9 | 2 | 3 | 4 | 5:14 | 9 |
| სეტე | 9 | 1 | 5 | 3 | 9:11 | 8 |
| გენგამი | 9 | 1 | 5 | 3 | 5:7 | 8 |
| რეიმსი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:7 | 8 |
| მონპელიე | 9 | 2 | 2 | 5 | 8:14 | 8 |
| ლავალი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | 7 |
| კაენი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:10 | 6 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა. XXII ტური**

**ბოდო გლიმტი 2:0 მიოლდე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 22 | 13 | 5 | 4 | 40:23 | 44 |
| ვოლერენგა | 22 | 13 | 5 | 4 | 38:22 | 44 |
| ლინი | 22 | 10 | 7 | 5 | 29:19 | 37 |
| ლილესტრომი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:27 | 37 |
| ვიკინგი | 22 | 11 | 4 | 7 | 33:29 | 37 |
| ბრანი | 22 | 9 | 5 | 8 | 37:24 | 32 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 9 | 3 | 10 | 22:41 | 30 |
| ჰამ კამი | 22 | 8 | 4 | 10 | 27:30 | 28 |
| როსენბორგი | 22 | 7 | 3 | 12 | 40:40 | 24 |
| ტრომსიო | 22 | 5 | 9 | 8 | 24:28 | 24 |
| მოლდე | 22 | 7 | 3 | 12 | 32:42 | 24 |
| ბოდო გლიმტი | 22 | 6 | 5 | 11 | 27:33 | 23 |
| ფრედრიკსტადი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:40 | 23 |
| ალესუნდი | 22 | 4 | 8 | 10 | 23:34 | 20 |

რეკლამა
სარბიელ — ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 2 | სიტი-ევერტონი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 18:00 | 5 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 18:00 | 6 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:15 | 7 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2.45 | 3.30 | 2.65 | 1.40 | 1.27 | 1.46 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 8 | უიგანი-ბოლტონი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 16:30 | 9 | არსენალი-ბირმინგემი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 17:00 | 10 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 11 | ლივერპული-ჩელსი | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 21 | ლიდსი-დერბი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 22 | საუთჰემპტონი-რედინგი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 22:45 | 23 | ქოვენტრი-უოტფორდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |

**ინგლისი. I ლიგა**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 47 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 105 | აბერდინი-მოზერუელი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 106 | დანდი იუნ.-კილმარნოკი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 18:00 | 107 | ფოლკირკი-ჰართსი | 7.00 | 3.90 | 1.40 | 2.50 | 1.16 | 1.03 |
| 18:00 | 108 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 109 | ლივინგსტონი-სელტიკი | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 18:00 | 110 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 111 | ბრეჩინი-დანდი | 3.20 | 3.40 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 18:00 | 112 | ჰამილტონი-სტ.მირენი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 113 | როსი-ქუინი | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 18:00 | 114 | სტრანრარი-სტ.ჯონსტონი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 18:00 | 115 | ერდრი-კლაიდი | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |

**იტალია. სერია A**

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 188 | კიევო-ტრევიზო | 1.55 | 3.30 | 6.30 | 1.05 | 1.24 | 2.16 |
| 22:30 | 196 | უდინეზე-ლაციო | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 187 | ასკოლი-პარმა | 2.40 | 2.90 | 2.95 | 1.31 | 1.32 | 1.46 |
| 17:00 | 189 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 22:30 | 190 | იუვენტუსი-ინტერი | 2.05 | 3.00 | 3.65 | 1.21 | 1.31 | 1.64 |
| 17:00 | 191 | ლეჩე-კალიარი | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 17:00 | 192 | მესინა-სამპდორია | 2.70 | 3.00 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 17:00 | 193 | მილანი-რეჯინა | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 17:00 | 194 | პალერმო-ემპოლი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 17:00 | 195 | რომა-სიენა | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |

**იტალია. სერია B**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 200 | ჩეზენა-რიმინი | 2.15 | 2.80 | 3.30 | 1.21 | 1.30 | 1.51 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 230 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 23:45 | 232 | ხეტაფე-ვალენსია | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 231 | კადისი-სელტა | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 233 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 23:00 | 234 | მალაგა-ატლეტიკო | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 21:00 | 235 | რეალი-მალიორკა | 1.25 | 5.30 | 9.50 | 1.01 | 1.10 | 3.40 |
| 19:00 | 236 | რასინგი-ალავესი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 19:00 | 237 | სევილია-ესპანიოლი | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 19:00 | 238 | სოსიედადი-ბეტისი | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 19:00 | 239 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | -1.75 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 281 | დაინცე-ტუბეკე | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |

**დანია. I დივიზიონი**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 409 | ფრემი-ბრიონსჰოი | 1.45 | 4.50 | 5.20 | 1.09 | 1.13 | 2.41 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**2 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 419 | ჰამარი-რუსენბორგი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 20:00 | 420 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2:10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 421 | ტრომსიო-სტარტი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 20:00 | 422 | ალესუნდი-ლილესტრიომი | 2.65 | 3.30 | 2:30 | 1.46 | 1:23 | 1.35 |
| 20:00 | 423 | ბოდო გლიმტ-ფრედრიქსტადი | 1.90 | 3.50 | 3.60 | 1.23 | 1.24 | 1.77 |
| 22:05 | 424 | ვოლერენგა-ლინი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 425 | ბრანი-ვიკინგი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |

**მექსიკა**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 484 | ჩივასი-ვერაკრუსი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:45 | 485 | ატლანტე-მორელია | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 486 | ტიგრესი-პაჩუკა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 487 | ტოლუკა-ამერიკა | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 23:45 | 488 | დორადოსი-მონტერეი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 23:45 | 489 | ხაგუარესი-ტეკოსი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 23:45 | 490 | ნეკახა-სან ლუისი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:45 | 491 | პუმასი-ატლასი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 492 | სანტოსი-კრუს ასული | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |

**ჩილე**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 532 | აუდაქსი-სერენა | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:45 | 533 | პუერტო მონტი-კოლო კოლო | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 534 | უონდერერსი-რეინჯერსი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 23:45 | 535 | ტემუკო-დ.კონსეპსიონი | 1.75 | 3.40 | 3.70 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| 23:45 | 537 | უნ.ჩილე-უაჩიპატო | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 23:45 | 538 | კობრესალი-მელიპილა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 539 | კოკიმბო-ევერტონი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:45 | 541 | უნ.ესპანიოლა-სან ფელიპე | 1.40 | 4.10 | 6.20 | 1.04 | 1.14 | 2.46 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 536 | უნ.კატოლიკა-პალესტინო | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |

## ჩემპიონთა ლიგა
### 28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 560 | შალკე-მილანი | 3.05 | 3.00 | 2.30 | 1.51 | 1.31 | 1.30 |
| 22:45 | 561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 22:45 | 563 | რუსენბორგი-ლიონი | 4.85 | 3.30 | 1.70 | 1.96 | 1.25 | 1.12 |
| 22:45 | 564 | ლივერპული-ჩელსი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:45 | 565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.30 | 4.80 | 9.00 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| 22:45 | 567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

## უეფას თასი
### 29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:15 | 568 | დომჟალე-შტუტგარტი | 3.90 | 3.60 | 1.70 | 1.87 | 1.18 | 1.15 |
| 18:15 | 569 | ცსკა(ბულ)-ლევერკუზენი | 2.90 | 3.30 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.30 |
| 18:55 | 570 | ლოკომოტივი(პლ)-ბოლტონი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 19:00 | 571 | ანორთოსისი-პალერმო | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 19:30 | 572 | მიუპა-გრასჰოპერი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 20:00 | 573 | რაპიდი(ბ)-ფეიენოორდი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 20:00 | 574 | ლოკომოტივი-ბრანი | 1.30 | 4.60 | 7.50 | 1.01 | 1.10 | 2.85 |
| 20:00 | 575 | მეტალურგი(დ)-პაოკ | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 20:00 | 576 | ტილბურგი-მონაკო | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| 20:15 | 577 | სტრასბური-გრაცერი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 20:30 | 578 | ლევსკი-ოსერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 20:30 | 579 | ჰერტა-აპოელი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 20:30 | 580 | გროცლინი-ლანსი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 20:30 | 581 | კორკი-სლავია | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 21:00 | 582 | სტიაუა-ვოლერენგა | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:15 | 583 | პარტიზანი-მაკაბი(ფთ) | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 21:30 | 584 | შიროკი ბრიეგი-ბაზელი | 3.50 | 3.50 | 1.80 | 1.75 | 1.18 | 1.18 |
| 22:00 | 585 | დნიპრო-ჰიბერნიანი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |
| 22:00 | 586 | მიდტიულანდი-ცსკა(მ) | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 22:00 | 587 | დებრეცენი-შახტარი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 22:00 | 588 | ქსანთი-მიდლსბრო | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 22:15 | 589 | ალმაარი-კრილია | 1.20 | 5.00 | 9.00 | 1.06 | 1.05 | 3.21 |
| 22:15 | 590 | ციურიხი-ბრიონდბიუ | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:30 | 591 | ოსასუნა-რენი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:30 | 592 | ვისლა-გიმარაეში | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 22:30 | 593 | მალმიო-ბეშიქთაში | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 22:30 | 594 | მაინცი-სევილია | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.36 |
| 22:30 | 595 | ბრაგა-ცრვენა ზვეზდა | 1.80 | 3.30 | 3.95 | 1.16 | 1.23 | 1.79 |
| 22:45 | 596 | ვეფკი-ლიტექსი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.59 |
| 22:45 | 597 | აუსტრია-ვიკინგი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 22:45 | 598 | სამპდორია-სეტუბალი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 22:45 | 599 | აეკ-ზენიტი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:45 | 600 | გალათასარაი-ტრომსიო | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 23:00 | 601 | არისი-რომა | 4.00 | 3.20 | 1.75 | 1.77 | 1.21 | 1.13 |
| 23:00 | 602 | კოპენჰაგენი-ჰამბურგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 23:00 | 603 | მარსელი-ბეერსხოტი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:00 | 604 | ევერტონი-დინამო(ბქ) | 1.45 | 3.80 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.35 |
| 23:15 | 605 | ჰერენვენი-ბანიკი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 23:45 | 606 | ესპანიოლი-ტეპლიცე | 1.35 | 4.40 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| 23:45 | 607 | სპორტინგი-ჰალმსტადი | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი პერუში (17)
### 29 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 635 | ჰოლანდია-მექსიკა | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 636 | ბრაზილია-თურქეთი | 1.40 | 3.60 | 7.50 | 1.00 | 1.17 | 2.43 |

## ჰოკეი. ფინეთი
### 28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 722 | ესპოო-კალპა | 1.25 | 5.30 | 5.80 | 1.01 | 1.02 | 2.76 |

## ჰოკეი. რუსეთი
### 28 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 810 | ლადა-ს.იულაევი | 1.40 | 5.00 | 4.50 | 1.09 | 1.06 | 2.36 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10560 | შალკე-მილანი | 3.50 | 2.00 | 2.75 | 1.27 | 1.53 | 1.15 |
| 10561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 2.75 | 2.00 | 3.55 | 1.15 | 1.54 | 1.27 |
| 10562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.50 | 2.90 | 9.00 | 1.00 | 1.28 | 2.19 |
| 10563 | რუსენბორგი-ლიონი | 4.70 | 2.00 | 2.25 | 1.40 | 1.52 | 1.05 |
| 10564 | ლივერპული-ჩელსი | 3.55 | 2.00 | 2.75 | 1.27 | 1.54 | 1.15 |
| 10565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.60 | 2.20 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.72 |
| 10567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.55 | 2.40 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 1.84 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11560 | შალკე-მილანი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11563 | რუსენბორგი-ლიონი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11564 | ლივერპული-ჩელსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16560 | შალკე-მილანი | 1.95 | 1.65 |
| 16561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.50 | 2.10 |
| 16562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.04 | 6.50 |
| 16563 | რუსენბორგი-ლიონი | 2.90 | 1.25 |
| 16564 | ლივერპული-ჩელსი | 1.95 | 1.60 |
| 16565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.85 | 1.65 |
| 16566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.03 | 5.00 |
| 16567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.03 | 5.50 |

### გოლი: მასპინძელი-1 თუ სტუმარი-2 (0:0 ითვლება ფრედ)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17560 | შალკე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17563 | რუსენბორგი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17564 | ლივერპული-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14560 | შალკე-მილანი | 2.00 | 1.80 |
| 14561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.75 | 2.10 |
| 14562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.05 | 2.90 |
| 14563 | რუსენბორგი-ლიონი | 2.30 | 1.50 |
| 14564 | ლივერპული-ჩელსი | 2.00 | 1.80 |
| 14565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.90 | 1.85 |
| 14566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.08 | 2.80 |
| 14567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.06 | 2.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15560 | შალკე-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15563 | რუსენბორგი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.37 |
| 15564 | ლივერპული-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15566 | ინტერი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15567 | პორტუ-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13560 | შალკე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13563 | რუსენბორგი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13564 | ლივერპული-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.60 | 1.95 |
| 13566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.90 | 1.70 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12560 | შალკე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 2.00 | 1.60 |
| 12563 | რუსენბორგი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12564 | ლივერპული-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 12567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.70 | 1.90 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ქართველთა არნახული ნადავლი



AFP ბუდაპეშტიდან

რევაზ მინდორაშვილის ოქროს ფინალი



AFP ბუდაპეშტიდან

ლუკა კურტანიძეს ჰაჯიმურატ მასალოვმა ოქრო აღარ დაანება

**რევაზ მინდორაშვილი** მსოფლიოს ჩემპიონია! ჩვენს ფალავანს 84 კგ. წონის კატეგორიაში დუნიაზე ბადალი არ ჰყავს.

წუხელ უნგრეთის მთავარქალაქ ბუდაპეშტში მანამდე ერთგზის ევროპის ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა ფინალში კუბელი იოელ რომერო აბურთავა და კარიერის უმნიშვნელოვანესი ტიტული მოიგო.

ეს კაი, მაგრამ ქართველებს წუხელ ტრიუმფის მოხდენაც შეეძლოთ. ფინალს უწია მანამდელმა ორგზის ჩემპიონმა ელდარ, მოგვიანებით ლუკად წოდებულმა კურტანიძემ, მაგრამ გამოცდილ ქართველს ოქრო ახალგაზრდა რუსმა ჰაჯიმურატ მასალოვმა არ დაანება და ჩვენებმა გუშინდელი დღე ოქრო-ვერცხლით ჩაამთავრეს.

მაშ ასე, მინდორაშვილი ჩემპიონია!

მისი ტრიუმფალური სვლა კანადელი ტრევის კროსის ძლევით დაიწყო. „მინდორას" მომდევნო მსხვერპლი გახლდათ იტალიელი ენტონი ფასუგბა, ხოლო აპენინელის შემდეგ ჩვენმა ჩემპიონმა ბეჭებზე ყაზახი მაგომედ კურუგლიევი გააკრა.

ნახევარფინალში რევაზს რუსი საგიდ საგიდოვი გადაეყარა და გვარიანი მოგვერდების შემდეგ ისიც განზე დატოვა, აი, ფინალში კი მას შავკანიანი კუნთოსანი იოელ რომერო შეეფეთა და დიდი ოსტატობით ჩატარებული სამრაუნდიანი ორომტრიალის შემდეგ ოქრო ქართველ მოჭიდავეს დარჩა.

ამის შემდეგ ყველა ელოდა ლუკა კურტანიძის ჩემპიონობას, მაგრამ 2001-03 წლების მსოფლიო [illegible] ვერ დაიცვა. კურტანიძემ დინჯად კი დაიწყო ორთაბრძოლა, მაგრამ თავისივე შეტევაზე შეცდა და გახალოვმა უმნიშვნელოვანესი ქულა მოიპოვა პირველ პერიოდში.

მეორეში ლუკას ბრძოლის შემოტრიალების შანსი მიეცა, მაგრამ ჯიგრიანი ჭიდაობის ბოლო აკორდი მისი მოედნიდან გადავარდნით დასრულდა და რუსმა ჰაჯიმურატ მასალოვმა საჩემპიონო ქულა მიითვალა.

ასე იყო თუ ისე, გუშინდელი დღე წარმატებულად გაილია — ერთი ოქრო და ერთიც ბრინჯაო. მესამე ფალავანმა, 74-კილოგრამიანმა დავით ახალმოსულიშვილმა ოქროსთვის ბრძოლა პირველივე წრეში დაასრულა, როცა თურქ აჰმედ გულჰანთან ქულებით წააგო. მერე გულჰანიც დამარცხდა და ახალმოსულიშვილს ბრინჯაოს იმედიც გადაეწურა.

დღეს ერთ წონით კატეგორიაში გათამაშდება ოქრო. გოლიათი ლექსო მოდებაძე ბოლოს ქართული მედლის მოპოვებას შეეცდება.

მაგრამ როგორც არ უნდა დასრულდეს მისი გამოსვლა, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში უკვე რეკორდული ნადავლი მოიპოვეს.

**ირაკლი პერტაია**



# ვიწყებთ პირველს, ვფიქრობთ მეორეზე!

## ერთი ქართველი ნაღდია, ჩახნაშვილმაც თუ ირევანშა...




**ძირითადი** ბადის პირველმა თამაშებმა თაკარა მზეში ჩაიარა. კორტზე მხოლოდ ხუთი წყვილი გავიდა, პირველი წრის დანარჩენი თერთმეტი თამაში კი დღეს ჩატარდება. და რადგან იმ ხუთ წყვილში არც ერთი ქართველი არ იყო, ბათუმელი მაყურებლის ყურადღება წყვილთა შეხვედრებმა უფრო მიიპყრო. იქაც გუშინვე დაიწყო ძირითადი ბადის თამაშები და სამი ქართულ-უცხოური შეხვედრაც ვიხილეთ.

სამწუხაროდ, მეორე წრის საგზური მხოლოდ ანა ტატიშვილმა გაინაღდა. ანამ 16 წლის რუს, პირად პირველობაში მასავით „ვაილდ ქარდით" მოხვედრილ ევგენია როდინასთან ერთად საკმაოდ ძლიერ წყვილს — ლატვიელ ირინა კუზმინასა და ბულგარელ მარია გეზნენგეს სძლია — 6:4 6:2.

ნანა უროტაძე — მაკა ჩახნაშვილისა და სოფო შაფათავა — ელენა კულიკოვას წყვილებმა ორ-ორ სეტში წააგეს.

პირადში ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. უკრაინელმა ოქსანა ლიუბცოვამ მეოთხე ნომრად განთესილ ბელარუს ტატიანა უვაროვას დაახრჩობა ჩოგანი. ამ უკანასკნელმა მთელ თამაშში მხოლოდ ორი გეიმის აღება მოახერხა.

ყველაზე დაძაბული ბრძოლა ევგენია როდინას გადახდა. მისი წყალობით ტურნირს ბულგარელი მარია გეზნენგე დაემშვიდობა — 7:5 7:5.

პირველი გამარჯვებებით გაიხარეს მეექვსე და მეშვიდე ნომრებმა — ბელარუსმა ეკატერინა ძეჰალევიჩმა და რუსმა ვასილისა ბარდინამ, მაგრამ თუ ბარდინას საამისოდ ერთი საათიც არ დასჭირვებია, ძეჰალევიჩმა დღის უგრძესი პარტია ითამაშა და სამ სეტში მოიგო — 6:2 4:6 6:4.

ძირითად ბადეში თავიდანვე ადგილგანაღდებული ორი ჩოგბურთელის ჩამოუსვლელობის გამო ტურნირის ხელმძღვანელებს საკვალიფიკაციო ეტაპზე წაგებულთა შორის მოუხდათ ამ ადგილების გათამაშება. „იღბლიანი უიღბლოები" სერბი ვოისლავა ლუკიჩი და რუსი ეკატერინა ივანოვა გამოდგნენ, მაგრამ იღბალმა გუშინ ერთსაც ვეღარ უშველა. ივანოვას ბარდინამ აჯობა, ხოლო ლუკიჩს რუსმა ანა ბასტრიკოვამ — 6:0 6:1.

დღეს ალბათ მეორე კორტის ტრიბუნები დილიდანვე შეივსება. თორმეტ საათზე მაკა ჩახნაშვილი სერბ ანა ტიმოტიჩს დაუპირისპირდება და ერთი კვირის წინანდელი თბილისური მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდება. ამ შეხვედრის დასრულებისთანავე კი კორტზე ანა ტატიშვილი და მანანა შაფაქიძე გავლენ.

ამ ორი ნიჭიერი ჩოგბურთელის თამაშზე უკვე გუშინვე აქტიურად საუბრობდნენ. შანსებს თითქმის თანაბრად ანაწილებდნენ, თუმც ეს მხოლოდ კულუარებში. ღიად არავინ არაფერს ამბობდა.

„საინტერესო შეხვედრის მომსწრენი გავხდებით — გვითხრა ლეილა მესხმა — ანა და მანანა ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენები არიან. პროგნოზისგან თავს შევიკავებ".

ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჩახნაშვილის მომავალი შეხვედრაც ახსენა, იმედია, თავისი თამაშის ჩვენებას მოახერხებს და ტიმოტიჩს დაამარცხებსო და იქვე დასძინა:

„მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს თუ კომპანიას, რომლებიც ტურნირის ჩატარებაში გვეხმარებოდნენ: ლევან ვარშალომიძეს, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს აჭარაში ჩოგბურთის განვითარებას, ტურნირის გენერალურ სპონსორს, ბათუმის ნავთობის ტერმინალს, სადაზღვევო კომპანია „ევროპეისსა" და კომპანია „ჯეოსელს".

**ოთარ მაღლაკელიძე** *ბათუმიდან*

### ბათუმის ქალთა ღია პირველობა
### საპრიზო 50 000 $

1 ანასტასია იაკიმოვა (1, ბელარუსი)
2 ანგელიკა როეში (გერმანია)
3 კაროლინა კოსინსკა (პოლონეთი)
4 მარინა შამაიკო (რუსეთი)
5 ვოისლავა ლუკიჩი (სერბეთი)
6 ანა ბასტრიკოვა (რუსეთი)
ბასტრიკოვა 6:0 6:1
7 ელენა კულიკოვა (რუსეთი)
8 სანდრა ზაჰლავოვა (5, ჩეხეთი)
9 მატეა მეზაკი (3, ხორვატია)
10 ვერონიკა კაპშეი (უკრაინა)
11 ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი)
12 ოლგა პანოვა (რუსეთი)
13 ირინა კუზმინა (ლატვია)
14 ნინა ბრატჩიკოვა (რუსეთი)
15 აურელია ვედი (საფრანგეთი)
16 ვასილისა ბარდინა (7, რუსეთი)
ბარდინა 6:2 6:1
17 ალა კუდრიავცევა (8, რუსეთი)
18 ტატიანა პრიახინი (გერმანია)
19 ევგენია როდინა (რუსეთი)
20 მარია გეცნენგე (ბულგარეთი)
როდინა 7:5 7:5
21 ირინა კოტკინა (რუსეთი)
22 ეკატერინა კოზოხინა (რუსეთი)
23 ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა)
24 ტატიანა უვაროვა (4, ბულგარეთი)
ლიუბცოვა 6:1 6:1
25 ეკატერინა დეჰალევიჩი (6, ბულგარეთი)
26 ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა)
დეჰალევიჩი 6:2 4:6 6:4
27 ანა ტიმოტიჩი (სერბეთი)
28 მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო)
29 მანანა შაფაქიძე (საქართველო)
30 ანა ტატიშვილი (საქართველო)
31 კარენ პეტერსონი (დიდი ბრიტანეთი)
32 ლიუდმილა სკავრონსკაია (2, რუსეთი)

# ბორჯღალოსანს უსაფუძვლო ბრალდებები მოუხსენეს

## მაშ, მაგრაქველიძეს კონტრაქტის დახევა შეიძლება და კუტესი არა?!



გაგი კვიციანის ფოტო

მამუკა მაგრაქველიძე



გაიოზ თალაკვაძე
პარიზიდან
ავტორის ფოტოები

2002 წლის ზაფხულის მიწურულს საფრანგეთის ქალაქ ბრივის საფოსტო განყოფილებაში ამანათის გამოსატანად მისული ქართველი მორაგბე მამუკა მაგრაქველიძე სამართალდამცავებმა დააკავეს და ქვეყანაში დოპინგის შემოტანაში, მოხმარებასა და გასაღებაში დაადანაშაულეს. ესპანეთიდან მის სახელზე მოსულ ამანათში სწორედ აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩინეს.

„ფოსტიდან შეტყობინება მომივიდა, თქვენს სახელზე ამანათიაო და მეც მივედი ასაღებად. არც არაფერი შემიკვეთავს და არც არავის უნდა გამოეგზავნა რამე, მაგრამ მაინც წაველი. გამოვედი თუ არა ფოსტიდან, მაშინვე დამაკავეს. მას მერე ბევრი ვეცადე გაგებას, მაგრამ დღესაც არ ვიცი ვინ გააკეთა ეს, ვინ გამოგზავნა ის ავბედითი ამანათი“ — მითხრა მამუკამ, როდესაც მისალოცად დავურეკე.

ჰო, მისალოცად-მეთქი და რის მისალოცად, ჯერ არ მითქვამს. გასული კვირის ბოლოს საფრანგეთის სასამართლომ ბოლოს და ბოლოს, გაამართლა მამუკა მაგრაქველიძე და აბსოლუტურად ყველა ბრალდება მოუხსნა. როგორც აქაური მედია იტყობინება, სრული უსაფუძვლობის გამო.

— ადვოკატმა დამირეკა და შამპანური შენზეაო, მახარა. თითქმის სამწლიანი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გავიმარჯვე და დამტკიცდა, რომ ამ საქმეში უბრალო ვიყავი.

**— ახლა რას აპირებ? ისევ სასამართლოში ხომ არ ფიქრობ საქმის გაგრძელებას, ოღონდ უკვე ბრივის წინააღმდეგ?**

— ჩემი ფრანგი ადვოკატის რჩევით კი. როდესაც ამ გაუგებრობაში გავეხვიე, ბრივის ხელმძღვანელობამ მაშინვე გამიუქმა კონტრაქტი (2002 წლის 5 სექტემბერს, როდესაც ბრივი მეორე დივიზიონში გამოდიოდა, გ.თ.). არადა, წესით კიდევ წელიწადნახევარი უნდა დავრჩენილიყავი მათთან. თანაც არანაირი კომპენსაცია არ გადამიხადეს.

**— არადა, ყველას მიმართ ასე არ იქცევიან, როგორც ახლახანს მომხდარმა მოვლენებმა აჩვენა.**

— მართალია. რამდენიმე დღის წინ მათი უკანახაზელი ნიკოლა კუტე ამხილეს დოპინგის მიღებაში და თავადაც აღიარა და მასთან კონტრაქტი არ გაუწყვეტიათ. როგორც ჩემმა ახლანდელმა თანაგუნდელებმა მითხრეს, ეს შეიძლება ძალიან გამომადგეს მათ წინააღმდეგ, რადგან მე როგორც ქართველს სხვანაირად მომექცნენ. იმასაც კი მეუბნებიან, შეიძლება უბრალოდ შენი მოშორება უნდოდათ და თავად მოგიწყვეს ყველაფერიო, მაგრამ არ მინდა დაჯერება.

**— კუტე სამაგიეროდ ლიგამ დასაჯა და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუტანა. შენ როგორ გადარჩი დასჯას, ხშირია შემთხვევები, როცა საქმის საბოლოო გარკვევამდე მაინც იკვეთება ხოლმე სპორტსმენი შეჯიბრებიდან.**

— ამაში ძალიან დამეხმარა საფრანგეთის პროფესიონალი მორაგბეების ასოციაცია. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ლიგას ნაადრევად არ დავესაჯე და კიდევ უფრო უსამართლოდ არ დავჩაგრულიყავი. ამ ასოციაციის გარდა ძალიან მადლობელი ვარ ჩემი შემდეგი კლუბების ოშის და მონპელიესი, რომლებმაც ირწმუნეს ჩემი სიმართლე და ყველანაირად გვერდში დამიდგნენ.

**— კარგი, ბოლოს ერთი კითხვა მიმდინარე ჩემპიონატზეც. ბოლო ტურში არ ითამაშე, რატომ?**

— მიკროტრავმა მივიღე და მწვრთნელებმა გართულების თავიდან აცილების მიზნით დამასვენეს. მომავალ ტურში აუცილებლად ვითამაშებ და თავს არ დავზოგავ, ლელოს დადებასაც ვეცდები. მინდა დავამტკიცო, რომ თავადაც ბევრი დაკარგეს ჩემი გაშვებით. მომავალი მატჩი სტუმრად გვაქვს ბრივში.

**— წარმატებას გისურვებ ბრივთან ჭიდილში.**



ნიკოლა კუტე



# კავკასიური პირამიდა ევროპამდე მაღლდება

**ბილიარდის** ერთ-ერთი სახეობის — პირამიდაში კავკასიის თასის გათამაშება საქართველოში მეორედ გაიმართა. ამ ტურნირს შარშან თბილისმა უმასპინძლა. მაშინ ბილიარდის საერთაშორისო ორგანიზაცია ასპარეზობის დონით კმაყოფილი დარჩა. ამიტომ, ეტყობა, კავკასიის თასის გათამაშება ტრადიციულ პირველობად იქცევა.

წლევანდელ გათამაშებას ბათუმი მასპინძლობდა. უმაღლესი ხარისხის სათამაშო მაგიდებმა და სოლიდურმა, 20 000 დოლარიანმა საპრიზო ფონდმა მსოფლიოს უძლიერესი მობილიარდეები მოიზიდა. აჭარაში სათამაშოდ 12 ქვეყნის წარმომადგენლები ჩავიდნენ, მათ შორის 2 მსოფლიოს და 3 ევროპის ჩემპიონი იყო.

ტურნირზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა უკრაინის ნაკრებმა, ამის ხარჯზე კი საქართველოს გუნდის შემადგენლობა 7-დან 9-მდე გაიზარდა.

ძირითად ბადეში 32 სპორტსმენი მოხვდა, ქართველმა მობილიარდეებმა კი მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლეს გულშემატკივრის იმედები.

ყველაზე უკეთ ახალგაზრდა გურამ ქოლოშვილმა იასპარეზა. მან მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა, თუმცა შემდეგ ევროპის ჩემპიონ ვლადიმერ [illegible] დამარცხდა.

ფინალური ორთაბრძოლა კიდევ ერთ ევროპის ჩემპიონს, კირილ ინიშევსა და აზერბაიჯანელ სეიმურ მამედოვს შორის გაიმართა. ევროპის პირველობის ტრიუმფატორმა რუსმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ საწყის ეტაპზე გაუწია. მამედოვმა კი შეხვედრა 5:3 მოიგო.

ტურნირის გადამწყვეტ მატჩს გენერალური სპონსორის, ფირმა „კონტინის“ პრეზიდენტი ტიმურ ტემირხანოვი დაესწრო.

გამარჯვებულმა ჯილდოდ 4 ათასი ამერიკული დოლარი მიიღო, ვერცხლის პრიზიორს კი 2500 ერგო. თანხის გარეშე ტურნირის არცერთი მონაწილე არ დარჩენილა, რადგან საპრიზო ფონდი ძირითად ბადეში მოასპარეზე ყველა მობილიარდეზე გადანაწილდა.

ბათუმში კავკასიის თასის წარმატებით ჩატარების შემდეგ საქართველოს ევროპის ჩემპიონატის მიღების შესანიშნავი შანსი ეძლევა, რაზეც წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია.



# მაგიდის ჩოგბურთი ბრუნდება

**აქტიურად შეუდგა საქმიანობას საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ახლადარჩეული ფედერაცია. ბოლო ხანს ეს ორგანიზაცია მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ყოველწლიური შესატანის გადაუხდელობის გამო საქართველოს ოთხი წლის წინათ შეუჩერდა მსოფლიოს და ევროფედერაციების წევრობა. ჰოდა, ეროვნული ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა პირველი ნაბიჯი სწორედ ამ მხარეს გადადგა. ფედერაციამ მოახერხა ბლომად დაგროვილი ვალის — თითქმის 2000 ევროს გადახდა და საქართველოს ამ ორივე ხელმძღვანელ ორგანიზაციაში წევრობა აღუდგა.**

**ფედერაციის** მუშა ჯგუფმა შეიმუშავა წესდების ახალი, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე პროექტი, რომელიც ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე მიიღეს. იქვე დამტკიცდა ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოს — გამგეობის შვიდკაციანი შემადგენლობა, რომლის მუშაობასაც, ცხადია, პრეზიდენტი წარუძღვება. მის, ასე ვთქვათ, მოადგილეებად არჩეული არიან ვეტერანი ჩოგბურთელები. პირველი ვიცე-პრეზიდენტია გიორგი მელაძე, ვიცე-პრეზიდენტი კი თემურ რამაზაშვილი.

გარდა ამისა, საპატიო ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მეჩოგნე სარქის სარხოიანი, რომელიც ამჟამად იტალიაში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნის.

თემურ ქურხულს და მის გუნდს დიდი სამომავლო გეგმები აქვთ, რაც საქართველოში ამ მუდამ პოპულარული სახეობის სახელოვანი ტრადიციების აღდგენისკენაა მიმართული. უპირველესი, რა თქმა უნდა, დარბაზის, ბაზის პრობლემაა. იმედია, შესაფერის შენობას მალე გამონახავენ.



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილებზე აქცენტი გაკეთდება ამ საყოველთაოდ ხელმისაწვდომ თამაშზე, რაც ხელს შეუწყობს მაგიდის ჩოგბურთის მასობრიობის ზრდას და ბავშვების მოზიდვას სპორტულ ჯგუფებში.

სასწრაფოდ მოსაგვარებელია მაღალხარისხოვანი და პარკებ-სკვერებში დასადგმელი მაგიდების შეძენის საკითხი, რისთვისაც არც თუ მცირე თანხაა საჭირო.

მერე კი მაღალი დონის შეჯიბრებების მოწყობასა და საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლაზეც უნდა ვიფიქროთ.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი კვდება! სარეცელთან ანატოლი კარპოვი გამოჩნდა



ანატოლი კარპოვი და დიეგო მარადონა

ამ ბოლო დროს პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად გვხვდება მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონის ანატოლი კარპოვის სახელი. რამდენიმე წლის წინათ „სარბიელში" გიამბეთ კარპოვისა და სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას საჭადრაკო დებიუტის შესახებ, რომელიც მათ მარადონასვე ტოკ-შოუში („საღამო ათიანთან ერთად") პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გაითამაშეს.
აღმოჩნდა, რომ კარპოვს ტოკ-შოუებზე უფრო სერიოზული პრობლემები აწუხებს და ბოლო დროს მან არაერთი განცხადება გააკეთა.

**ერთ** განცხადებაში კარპოვმა თქვა, რომ შესაძლოა იგი სათავეში ჩაუდგეს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას (ფიდე), რომელსაც ახლა კირსან ილიუმჟინოვი მეთაურობს.

მეორე განცხადებაში კარპოვმა აღნიშნა, რომ ჭადრაკი ახლა კრიზისს განიცდის, ხოლო გუშინ დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტულ პრინციპებს არღვევსო.

თითქოს ეს განცხადებები საკმარისი არ იყო და კარპოვმა ახლა ისიც თქვა, რომ სულაც არა ვარ წინააღმდეგი ბობი ფიშერს საჭადრაკო დაფასთან შევებრძოლოო.

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად და დავიწყოთ კარპოვის შესაძლო ფიდე-ს პრეზიდენტობით.

„მე ჩამოყალიბებული აზრი არა მაქვს ფიდე-ს მეთაურად ჩემს მოსვლაზე, რადგან კაცმა რომ თქვას, ასეთი იდეა არასოდეს გამჩენია. მე შემეძლო ფიდე-ს პრეზიდენტი გავმხდარიყავი 1995 წელს, როცა მისი მეთაური კამპომანესი მიდიოდა. ალბათ მე ფიდე-ს პრეზიდენტობა მანამდეც შემეძლო, მაგრამ როგორღაც არც მაშინ მქონია თავში ასეთი იდეა. ახლა თავში ასეთი აზრი მხოლოდ იმიტომ მომდის, რომ პროფესიული ჭადრაკი კვდება" — უთხრა „რია ნოვოსტის" კორესპონდენტს კარპოვმა.

ეტყობა, კარპოვს ასეთი იდეა შემთხვევით არ მოსვლია. ბოლო ათწლეული საჭადრაკო ისტორიაში შევა, როგორც ამ სფეროს ერთ-ერთი მძიმე პერიოდი.

მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროში განხეთქილება მოხდა. ათწლეულობით ჩამოყალიბებული წესრიგი დაირღვა. ერთბაშად სხვადასხვა ვერსიით მოგვევლინა ორი მსოფლიოს ჩემპიონი. სხვადასხვა დროს კარპოვიცა და კასპაროვიც ხელს უწყობდნენ ფიდეს პრეზიდენტად კირსან ილიუმჟინოვის წამოწყებას. ფიდე-ს სათავეში მოსვლის შემდეგ ილიუმჟინოვმა ჭადრაკში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური სამატჩო სისტემა შეცვალა ყოველწლიური ერთჯერადი ოლიმპიური სისტემით.

2001 წელს მსოფლიოს წამყვანმა მოჭადრაკეებმა საჭადრაკო სამყაროს ღია წერილით მიმართეს. ანატოლი კარპოვმა, გარი კასპაროვმა და ვლადიმირ კრამნიკმა თავიანთი პოზიციები გააერთიანეს და ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ფიდე-სა და მისი პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ სამი „K"-ს გამოსვლამ სათანადო ეფექტი ვერ მოახდინა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კარპოვი და კასპაროვი უკვე აღარ სხდებიან საჭადრაკო დაფასთან და თავიანთ ყურადღებას პოლიტიკურ კარიერას მიაპყრობენ, ხოლო კრამნიკმა უარი თქვა ფიდე-ს ეგიდით ჩატარებულ გამაერთიანებელ ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც არგენტინაში გუშინ დაიწყო. მან განაცხადა, რომ სრული უფლება აქვს შეხვდეს ამ ტურნირში გამარჯვებულს. სრულიად შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში „კლასიკურ ჭადრაკში" მსოფლიოს ჩემპიონი ასევე დაასრულებს თავის სპორტულ კარიერას.

„ჩვენ ვხედავთ, რომ სადღაც იკარგება ტურნირები. თუ წინათ, როცა მე ჭადრაკის თამაშს ვიწყებდი, შეიძლებოდა მხოლოდ ესპანეთში იანვარში ტურნირების დაწყება და მთელი სეზონის განმავლობაში იქვე თამაშ-თამაშით მოგზაურობა, ახლა მსხვილ ტურნირები შეიძლება ცალი ხელის თითზე ჩამოითვალოს კაცმა. ეს უბრალოდ პროფესიული უბედურებაა. მოჭადრაკეებს სათამაშო აღარსად დარჩათ" — ამბობს კარპოვი.

ამ ვითარებაში, კარპოვის აზრით, „მათ აღარა დარჩენიათ, თუ არა ინტერნეტში თამაში ან რაღაც ღია, სრულიად ყრუ ტურნირებში გამოსვლა".

„ფიდე-ს ავადმყოფობა არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. ის რაც ხდება, იმ შეცდომების გაგრძელებაა, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში დაუშვეს. ისინი მემკვიდრეობით გადაეცა ილიუმჟინოვს. ეს ღრმა კრიზისია, რომელიც გუშინწინ დაიწყო" — თქვა კარპოვმა.

ახლა კარპოვის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც გუშინ არგენტინაში, სან ლუისში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატს ეხება.

„ამ შეჯიბრებას ძნელად თუ უწოდებს კაცი მსოფლიოს ჩემპიონატს, რადგან არ დაუცვიათ სპორტული პრინციპი და არ გამართულა მოჭადრაკეთა შერჩევა, — ამბობს კარპოვი — ცხადია, რვავე პრეტენდენტი პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ სხვებისთვის სიტყვის თქმის უფლება არ მიუციათ. სპორტული ნორმების პირველი დიდი დარღვევა მაშინ დავინახე, როცა ამ ტურნირის ფორმირება მოხდა. და მეორეც, ჩვენ ძველებურად არ გვყავს ყველა უძლიერესი მონაწილე. არ ვიცი, მომავალში როგორ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან: კრამნიკი არ თამაშობს. კასპაროვი თუ დაბრუნდება, გაუგებარია, რა უნდა უყონ მას. აქ მეტი კითხვებია, ვიდრე პასუხები".

როგორც ცნობილია, სან ლუისში დაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატში რვა გროსმეისტერი გამოდის. ესენი არიან: ფიდე-ს ვერსიით მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი), პიოტერ სვიდლერი, ალექსანდრ მოროზევიჩი (ორივე რუსეთი), იუდიტ პოლგარი, პეტერ ლეკო (ორივე უნგრეთი), მაიკლ ადამსი (დიდი ბრიტანეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი).

კარპოვის აზრით, მომავალი ტურნირის ფავორიტები ანანდი და ლეკო იქნებიან.

და ბოლოს, იმის თაობაზე, რომ კარპოვი სიამოვნებით ითამაშებდა ბობი ფიშერის წინააღმდეგ.

„ფიშერი ძნელად საწინასწარმეტყველებო კაცია — ამბობს კარპოვი — ჩემი მასთან შეხვედრა უფრო მეტად ფიშერზეა დამოკიდებული და, რა თქმა უნდა, სპონსორებზე. ფიშერი მუდამ საინტერესოა, მაგრამ მას თავისი ჭადრაკის თამაში უნდა. რა პრობლემაა, შეიძლება მისი ჭადრაკიც ვითამაშო! აქვს თუ არა მომავალი „ფიშერის ჭადრაკს", ძნელი სათქმელია. ახლა ცალკეული ტურნირები იმართება ფიშერის წესებით. იდეა არის, მაგრამ რამდენად მიიღებს მას მომავალი, ძნელი სათქმელია, რადგან სახეზეა პლუსებიც და მინუსებიც. პლუსი სრულიად ნათელია. კომპიუტერების ხანაში ფიშერი ცდილობს თავი დააღწიოს საშინაო მომზადებას და თვლის, რომ საჭიროდ აღარ მიიჩნევს რაღაც დამხმარე გუნდის ყოლას, რომელიც კომპიუტერებთან იმუშავებს. ფიშერის სისტემით, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 960 დაწყებითი პოზიცია არსებობს".

ჩვენ კი შევახსენებთ, რომ „ფიშერის ჭადრაკის" განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ დაწყებით პოზიციას კომპიუტერი იძლევა.

**ავთანდილ ბუჩიშვილი**



# ძაგნიძეს ძალა დაუფასდა და იტალიიდან ორი ოქროთი დაბრუნდა

**ქართველ** მანდილოსანთა კლუბი „ნტნ" იტალიურ სან-ლუისში დასრულებული ევროპის საკლუბო ჩემპიონატიდან ოქროს მედლებით დაბრუნდა.

კარგად ითამაშა მთელმა გუნდმა, თუმც მათ შორის მაინც 19 წლის ნანა ძაგნიძეა გამოსაყოფი, რომელმაც მეორე დაფაზე ყველას აჯობა და პირადული ოქროც მოიგო.

ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე თვითონ ნანა გვესაუბრება.

— წლეულს ძალიან ძლიერი ჩემპიონატი იყო. იტალიაში მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი მანდილოსანი ჩამოვიდა და წასვლამდე მესამე ადგილი გვქონდა მიზნად დასახული, თუმც იქ გუნდი კარგად შევიკარით და ყველას ვაჯობეთ.

**— მესამე ტურიდან რატომ შეუერთდი გუნდს?**

— სან-ვინსენტამდე შვეიცარიაში ძლიერ ტურნირზე ვიყავი მიწვეული. იქ პლანეტის 20 წლამდელი, რვა საუკეთესო მოჭადრაკე ვიყავით ჩასული. ასეთ ძლიერ ტურნირში პირველად გამოვედი, ვაჟებთან მომიხდა თამაში და ამით დიდი გამოცდილებაც შევიძინე.

**— დავუბრუნდეთ ევროპის ჩემპიონატს, რომელ მატჩს გამოჰყოფდი?**

— მეექვსე ტურში ევროპის ჩემპიონ უკრაინელ კატერინ ლაჰნას მოვუგე და საერთო ჯამში კარგი პარტია გამოგვივიდა.

**— თავიდან კარგად დაიწყეთ ასპარეზობა და ხუთი ტურის შემდეგ ორი ქულითაც უსწრებდით ყველას. შემდეგ რა მოგივიდათ, ორ ტურში მხოლოდ ერთი გუნდური ქულა რომ აიღეთ?**

— ბოლო ტურში თუ სამი ქულის სხვაობით არ წავაგებდით, ჩემპიონები ვხდებოდით. პირველად პარტიები მესამე და მეოთხე დაფაზე მოთამაშეებმა, ლელა ჯავახიშვილმა და ანა მათნაძემ დაასრულეს, საერთო ჯამში კი მათ 1,5 ქულა მოაგროვეს და ფაქტობრივად უკვე ჩემპიონებიც გავხდით. შესაძლოა ამის ბრალიც იყოს, შემდეგ ცოტა რომ მოვეშვი და დავმარცხდი. ჩემი მეტოქე 2003 წლის ევროპის ჩემპიონი შვედი პია კრამლინგი იყო, თუმც ის პარტია სულაც არ იყო წასაგები და მოგებაც შეიძლებოდა. მიუხედავად ამ წაგებისა, მეორე დაფაზე ყველას ვაჯობე, ხუთი პარტიაში ოთხი მოვიგე და მეორე ოქროც ჩამოვიტანე.

**ლაშა გეგეჭკორი**




ევროპის ჩემპიონი ნტნ

# თუ კლიჩკო რაჰმანს მოკლავს




დღეს რეიმონ ბრიუსტერი და ლუან კრასნიჩი დასცხებენ ერთმანეთს

**პროფესიული კრივის სამყარო უახლოეს მომავალში საინტერესო ამბებით დაიხუნძლება. ყველაზე პრესტიჟულ წონაში ერთბაშად სამი სატიტულო ბრძოლა გაიმართება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვიტალი კლიჩკოსა და ჰასიმ რაჰმანის შეხვედრა, რომლებმაც უკვე დაიწყეს სიტყვიერი შეხლა-შემოხლა, მანამდე კი...**

**დღეს ჰამბურგში WBO-ის ვერსიით, მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის სახელისთვის გაიმართება ბრძოლა, რომელშიც ქამრის მფლობელი რეიმონ ბრიუსტერი ლუან კრასნიჩის შეხვდება. სულ მალე ჩატარდება კიდევ ორი სატიტულო ბრძოლა ამავე წონით კატეგორიაში. WBC-ის ვერსიით, ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო ჰასიმ რაჰმანს შეებრძოლება, ხოლო IBF-ის ვერსიით უძლიერესი კრის ბერდი თავის ტიტულს დაიცავს დევარილ უილიამსონთან შეხვედრაში.**

**საინტერესოა, რომ სწორედ ბერდი და ბრიუსტერი არიან მთავარი პრეტენდენტები ძმებ კლიჩკოებთან შესახვედრად.**

**ასეა** თუ ისე, დღეს ჰამბურგის რინგზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „დაუღალავი“ ამერიკელი ბრიუსტერი და გერმანული პასპორტის მქონე სერბი კრასნიჩი, რომელსაც „ლომი“ შეარქვეს. ლეიმონს, რომელმაც ტიტული უნდა დაიცვას, ზურგს უმაგრებს 34 გამართული ბრძოლიდან 32 გამარჯვება, რომელთაგან 28 ნოკაუტით მოიგო. იგი თავის წარმატებაში ოდნავადაც არ ყოყმანობს. მეტიც, ბრიუსტერი და მისი გუნდი 18 სექტემბრიდან გერმანულ მიწაზე ემზადებიან საბრძოლველად.

ამერიკელის თქმით, ეს ბრძოლა შანსია, რათა ყველას დაუმტკიცოს, რომ იგი ნამდვილი ჩემპიონია. თუმცა, ბრიუსტერი ოდნავ შეფიქრიანებულია მსაჯების ობიექტურობაზე, რომლებიც სახელგანთქმული გერმანელი მოკრივის მაქს შმელინგის ასწლოვანი იუბილის დღეს შესაძლოა მთლად სამართლიანები არ აღმოჩნდნენ.

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი მეტოქეები წინათ უკვე შეხვედრიან ერთმანეთს, ოღონდ ეს მაშინ იყო, როცა ისინი მოყვარულებში გამოდიოდნენ. მაშინ ბრიუსტერმა გაიმარჯვა.

„მე მესმის, რომ მაშინ იგი ჩემზე მაღალი იყო და შესაშური აქტიურობით გამოირჩეოდა, — ამბობს ამერიკელი. — მასთან მეტოქეობა ძნელი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ წინ 12 რაუნდი გველის. მე უფრო დავმსხვილდი და დარტყმაც მეტად ძლიერი მაქვს. თითქმის ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ბრძოლას ვადამდე დავამთავრებ. გერმანიაში მსაჯები ნაწილობრივ საკამათო გადაწყვეტილებებს იღებენ და, მართალი რომ გითხრათ, სულაც არ მინდა, ვითარების მძევალი გავხდე. ამიტომაც მთელ ყურადღებას ვადამდე გამარჯვებაზე გადავიტან“.

ბრიუსტერი გამარჯვების შემთხვევაში WBC-ის ვერსიით ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ფიქრობს. მიუხედავად იმისა, თუ ვის მფლობელობაში იქნება იგი — ვიტალი კლიჩკოსი თუ ჰასან რაჰმანისა. ამასთან, ბრიუსტერს წამოსცდა, რომ უფრო მეტად სურს უფროს კლიჩკოსთან შეხვედრა, რომელსაც პლანეტის უძლიერეს მძიმეწონოსნად თვლის.

სხვათა შორის, ვიტალიც იმედოვნებს ამერიკელთან შეხვედრას და თავის უმცროს ძმაზე დამარცხებისთვის შურისძიებას, რომელიც სწორედ ბრიუსტერმა ჩააგდო ნოკაუტში.

რაც შეეხება კრასნიჩის, რომლის დამსახურებათა ნუსხაში არის 28 გამარჯვება (14 ნოკაუტი), 1 ფრე და ერთიც დამარცხება, ფიქრობს, რომ ბრიუსტერთან შეხვედრა ძალზე მძიმე იქნება.

„იმისთვის, რომ მას ჩემპიონის ქამარი ჩამოვართვა, საჭიროა, მეტოქეზე უკეთესი ვიყო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებ გამარჯვებას“ — თქვა კრასნიჩიმ. მან ისიც აღნიშნა, რომ ჩემთვის დიდი პატივია, შმელინგის ასწლოვან იუბილეზე უნდა ვიბრძოლოო.

„მაქს შმელინგთან შედარებით მე არაფერი ვარ, — ამბობს ლუან კრასნიჩი. — მე მას დავპირდი, რომ სუპერმძიმე წონაში ჩემპიონის ტიტულს უკან, გერმანიაში დავაბრუნებ. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამას, მაგრამ თუ მიზანს მივაღწევთ, მაშინ ამას სწორედ მაქსისთვის და ჩემთვის გავაკეთებ“.



ვიტალი კლიჩკო და ჰასიმ რაჰმანი ჯერ სიტყვებით ებრძვიან ერთმანეთს

ბრიუსტერთან გამარჯვების შემთხვევაში არც კრასნიჩი გამორიცხავს ძმებ კლიჩკოთაგან ერთ-ერთთან შეხვედრას.

ამასობაში კრივის სამყარო სხვა საინტერესო ბრძოლებსაც გვპირდება.

1 ოქტომბერს ამერიკის ქალაქ რენოს რინგზე ერთმანეთს შეებრძოლებიან ბერდი და უილიამსონი. იმავე „შოუს“ ფარგლებში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ჯეიმს ტონი და დომინიკ გუინი. გამორიცხული არაა, რომ ამ წყვილში გამარჯვებული IBF-ის ვერსიით ჩემპიონის მეტოქე გახდეს.

18 ნოემბერს ლას ვეგასში ვიტალი კლიჩკო, WBC-ის ვერსიით ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეეცდება ამავე ორგანიზაციის დროებით ჩემპიონ ჰასიმ რაჰმანის წინააღმდეგ. უკრაინელი, რომლის ანგარიშზეც 35 გამარჯვება (34 ნოკაუტი) და 2 მარცხია, [illegible] რომ ამერიკელს ამ [illegible] მოართმევს და [illegible] ცებს, რომ სწორედ [illegible] მსოფლიოს [illegible] პიონი.

რაც შეეხება რაჰმანს, [illegible] ჯვება — 33 ნოკაუტი, 5 [illegible] ხება და 1 ფრე, მან, [illegible] ვევია, ერთ-ერთი [illegible] ფერენციაზე თავის [illegible] ტყვიერი იერიშების [illegible] მიიტანა და [illegible] გავიმარჯვებო.

რაჰმანმა თავისი [illegible] დაიწყო, რომ თქვა, [illegible] მე ყველაფერს [illegible] რო გახდა, [illegible] საცო.

„კრივი [illegible] ხეობაა, მაგრამ მე ამ ბრძოლის [illegible] ლოდ იმ შემთხვევაში [illegible] კლიჩკო რინგზე [illegible] ბრძოლას არ წავაგებ [illegible] ყოველმხრივ შეიარაღებული [illegible] იქიდან კი ჩემპიონის [illegible] ჩამოვალ. კლიჩკოს [illegible] ლია ძალა [illegible] სთვის ან კიდევ [illegible] მაგრამ ამ ბრძოლას [illegible] იგებს. თუ თქვენ [illegible] შეხვედრას, თქვენ [illegible] კარიერის [illegible] თქვა რაჰმანმა.

კლიჩკომ რაჰმანის [illegible] მენტორებისას ამერიკელს [illegible] ბის მსოფლიოს ჩემპიონის [illegible] და ოკეანის გაღმელს [illegible] კი არა, მუშტებით [illegible]

„ეს სუპერმძიმე წონაში [illegible] ლი მსოფლიოს ჩემპიონის [illegible] ლისთვის ბრძოლა იქნება [illegible] ბრძოლი, ორი ნოკაუტის [illegible] ტატი, ორი მშვენიერი [illegible] მქონე მოკრივე! [illegible] ძალა [illegible] მელდეს. მე ნოკაუტით [illegible] არ ვიწინასწარმეტყველებ [illegible] მელ რაუნდში [illegible] ნათელია, რომ ბრძოლა [illegible] ინტერესო იქნება, [illegible] სახით მე ძალზე [illegible] ქე მეყოლება. მან [illegible] გდო ლენოქს ლუისი [illegible] რომ იგივე შეცდომა [illegible] მელიც ბრიტანელს [illegible] მან მოწინააღმდეგე [illegible] შეაფასა. კარგად [illegible] დენად [illegible] გამარჯვებისთვის [illegible] ზოგავ. მე ჩემპიონის ქამრის [illegible] ხნით ფლობას [illegible]

ყოველი ბრძოლის [illegible] ვრი სპეციალისტი [illegible] ნვლილი შეხვედრა [illegible] ოზული გამოცდა არ [illegible] დეს უნდა [illegible] დარწმუნებული ვარ და [illegible] მასთან შეხვედრის [illegible] ნი კვლავ დაიწყებს [illegible] ნას, რომელიც [illegible] ნება. მაგრამ მინდა [illegible] მტკიცო, სწორედ მე ვარ [illegible] რესი და სწორედ [illegible] მოტივაციას. არ [illegible] წუმ იმის თქმას, რომ [illegible] კეთესი და უძლიერესი [illegible] ოში ბევრი ძლიერი [illegible] ერთხელაც გამოჩნდება [illegible] მელიც ჩემზე ძლიერი [illegible] გრამ ყველა ბრძოლაში [illegible] იმის დამტკიცებას, რომ [illegible] მე ვარ მეტოქეზე ძლიერი“ — [illegible] ვიტალი კლიჩკომ.



AFP თეირანიდან

# მუსლიმ ქალთა შეჯიბრი

თეირანში მიმდინარეობს ისლამის ქალთა თამაშები. მშვილდოსანთა შეჯიბრში სპარსელი კაქდის მირპაშეში (მარცხნივ) პირველობს. ქალთა ისლამური თამაშები უკვე მეორედ ტარდება. 1993 წელს, ამ თამაშების მოწყობის იდეა სწორედ სპარსეთში წარმოიშვა.

# ხორდი და სფინქსი

სფინქსი და ხორდი დურანი. სულ მალე ფარაონების რალი დაიწყება ეგვიპტეში. 49 მოტომრბოლს შორის ფავორიტი სწორედ ეს ესპანელია.




AFP ქაიროდან



AFP ბრიუსელიდან

# ჩემპიონის დაბრუნება

მსოფლიო ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში ტომ ბონენი სამშობლოში დაბრუნდა. ბრიუსელის აეროპორტში მადრიდიდან ჩამოსულს ნორჩები და საყვარელი გოგო, ლორი დაუხვდნენ. სიხარული დიდი იყო.




AFP ბრიუსელიდან




AFP სენ-ილარი-დუ-ტუვედან

# პარაშუტობა

ასეთ პარაშუტობას, ანუ იკაროსის თასს, ყოველ წელიწადს ნახავთ საფრანგეთში. აგერ, ვილაცა, პირდაპირ ძველი სიტროენით გადმოშვებულა სენ-ილარი-დუ-ტუვეს თავზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობაინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვირილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ეკატო დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge